პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 40 (18582) ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გეგმის შესრულება მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით

• •

საქართველოს სსრ
ცენტრალური
სტატისტიკური
სამმართველოს
მონაცემები
1 თებერვლისათვის

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების პროცენტი	სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულების პროცენტი	1983 წლის იანვარი პროცენტობით 1982 წლის იანვართან შედარებით		ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების საერთო მოცულობაში მოცულობით პროცენტი
			წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება	
სულ რესპუბლიკაში	102,0	102,6	106,2	104,6	14,8
აფხაზეთის ასსრ	103,9	103,6	105,6	105,2	4,1
აჭარის ასსრ	106,8	103,3	110,3	109,4	21,2
სამხრეთ ოსეთის ა.ო.	103,2	104,8	100,0	95,3	11,8
ქალაქები:					
თბილისი	101,6	101,7	109,9	108,3	16,1
სოხუმი	105,2	104,5	111,5	111,7	6,9
ბათუმი	106,3	103,1	106,8	106,1	23,0
ცხინვალი	103,1	105,0	103,7	97,8	12,5
ქუთაისი	100,2	101,3	100,4	100,6	34,0
რუსთავი	95,9	99,0	100,9	99,9	26,1
ფოთი	116,5	122,5	144,7	149,6	4,8
გორი	103,3	102,9	91,7	91,9	21,0
ზუგდიდი	105,1	101,9	95,1	91,8	7,0
ჭიათურა	93,8	100,7	124,0	122,1	42,6
ტყიბული	97,7	104,7	110,8	111,0	6,2
გაგრა	97,8	102,9	91,0	93,6	0,2
წყალტუბო	113,2	102,6	113,4	108,7	8,7
ტყვარჩელი	96,7	101,5	97,5	101,6	2,4

როგორც ცხრილიდან ჩანს, იანვარში სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის დავალება შეასრულა რესპუბლიკის ქალაქების უმეტესობამ: რუსთავის, ჭიათურის, ტყიბულის, გაგრისა და ტყვარჩელის გარდა. სახაქონლო პროდუქციის გეგმა ვერ შეასრულა მხოლოდ რუსთავის მრეწველობამ. გასული წლის იანვართან შედარებით წარმოების მოცულობის მიხედვით ჩამორჩენა ვერ დაძლიეს გორის, ზუგდიდის, გაგრისა და ტყვარჩელის საწარმოებმა. შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით ჩამორჩენენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ქალაქები ცხინვალი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი და გაგრა.

ძალზე მცირეა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების საერთო მოცულობაში ქალაქების გაგრის, ტყვარჩელის, ფოთის საწარმოებში. (საქინფორმი).

ორგანიზებულობის, ეფექტიანობის საფუძველი

ბაზაფხულის სუნთქვას მიწათმოქმედი დღითი დღე უფრო შეიგრძნობს და ხვნა-თესვისათვის მეტ თადარიგსაც იჭერს. მალე სოფლის მშრომელები მასობრივად გავლენ მინდვრებში, ბალ-ვენახებსა და პლანტაციებში, რათა საფუძველი შეუქმნან უხვ მოსავალს, ნინ წასწიონ ხუთწლედის შუაგული ნლის გეგმა-ვალდებულებების შესრულების საქმე. გეგმა-ვალდებულებები კი ნლეულს მეტად პასუხსაგებია. აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებს ამოცანად აქვთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კულტურის ამაღლების, მიწების მელიორაციის, ქიმიზაციის და წარმოების პროცესების მექანიზაციის გაფართოების მეოხებით გაზარდონ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 2,355 მილიონ მანეთამდე, ხოლო 100 ჰექტარ სავარგულზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა — 75 ათას მანეთამდე.

ამ მაღალი მიჯნების მიღწევაში მოწინავე საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უნდა დაეყრდნონ შრომის სანიმუშო ორგანიზაციას, წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, რამეთუ ამ დიდი რეზერვების ეფექტიან გამოყენებაზეა დამოკიდებული ტექნიკის დიდმწარმოებლური მუშაობა, სამუშაოთა ვადების შემცირება და საბოლოო ჯამში პროდუქციის წარმოების გაღიდება.

საბოლოო შედეგისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის გაძლიერების ნაცვად და აღიარებული საშუალებაა ბრიგადული იჯარა, შრომის აკორდულ-პრემიული ანაზღაურება. იგი ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რესურსების ეკონომიას; უფრო მჭიდროდ, პარმონიულად უკავშირებს ერთმანეთს თითოეული მუშაკისა და მთელი კოლექტივის ინტერესებს, აუმჯობესებს ანაზღაურებას საზოგადოებრივ მეურნეობებში. ამასთან ანაზღაურება დამოკიდებულია არა სამუშაოთა საერთო მოცულობაზე, არა მექანიზაციით დამუშავებულ ჰექტარებზე, არამედ, დაგეგმილ, სრულფასოვან მოსავალზე. ასევეა მეცხოველეობაში, სადაც ანაზღაურება ხდება არა მოსავლელი პირუტყვის სულადობის, არამედ დიდი ნაწველისა და წონამატების მიხედვით.

მუშაობის ამ კოლექტიურ ფორმას ინდივიდუალურ გაპირონებებთან შედარებით ცოტა უპირატესობა როდი აქვს. სწორედ ამის საფუძველზე შარშან სოფლის მეურნეობის საკავშირო სამინისტრომ დაამტკიცა მემცენარეობაში კოლექტიური იჯარის რეკომენდაციები, რამაც ამ სიახლეს ფართო გზა გაუხსნა. შარშან ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 12 ათას ჰექტარ ნათესსა და მრავალწლოვან ნარგავს უვლიდა 1197 მექანიზებული ბრიგადა და რგოლი, რომლებიც მუშაობდნენ შრომის აკორდულ-პრემიული ანაზღაურებით.

დიდნაყოფიერი გამოდგა „საქსახსოფლტექნიკის“ სიღნაღისა და თეთრი წყაროს რაიონების მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო ექსპერიმენტული უგანრიგო ბრიგადების მუშაობა. ამ ბრიგადებმა, რომლებსაც კომბაინების და სატვირთო ავტომანქანების გარდა ჰქონდათ სათადარიგო ნაწილების მოძრავი სახელოსნო, ნაყოფიერი გარჯით მაღალ საბოლოო შედეგამდე მიაღწიეს. თითოეული კომბაინის გამომუშავებამ დღეში 10 ჰექტარი შეადგინა, რაც საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს ორჯერ აღემატება.

ბრიგადულმა იჯარამ თითოეული მუშისა და კოლმეურნის საშუალო გამომუშავება ერთიორად გაადიდა ლაგოდეხის, ზუგდიდის, აბაშის, ცხაკაიას და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებშიც. ინგირის რაის საბჭოთა მეურნეობაში შარშან პლანტაციებს უვლიდა 14 მექანიზებული რგოლი. თითოეულს მიჩენილი ჰქონდა 31,8 ჰექტარი, 20,5 ჰექტარით მეტი, ვიდრე შრომის ორგანიზაციის ეს მეთოდი დაინერგებოდა. სამუშაოს მომატებამ პროდუქციის წარმოება კი არ შეამცირა, პირიქით, მოსავლიანობამ საგეგმო 44,1 ცენტნერის ნაცვლად 101,4 ცენტნერს მიაღწია. ბრიგადული იჯარის წყალობით სიმინდის მოსავლიანობა გაორკეცდა ლაგოდეხის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაშიც.

მიუხედავად ამდენი სიკეთისა და იმისა, რომ ბრიგადულ იჯარას ბევრი მაქებარი ჰყავს და მის დანერგვას დამატებითი დაბახარჯები არ სჭირდება, იგი რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჯერ კიდევ ნელა მკვიდრდება. ეს კი ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ბევრგან ირღვევა თესვის ვადები, აგროტექნიკური დისციპლინა. მაგალითად, შარშან ნალკისა და დმანისის რაიონებში საშემოდგომო თესვისათვის მდარე ხარისხის თესლი გამოიყენეს და თესვაც დააგვიანეს. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მინათმოქმედებმა არ იცოდნენ, როდის და როგორ უნდა დაეთესათ. მუშაობაში ნუნის მიზეზია საქმის ორგანიზაციის გაუმართაობა, საბოლოო შედეგისათვის პასუხისმგებლობის შესუსტება და შედეგიც შესატყვისია. ამ რაიონებში მეზობელ ახალქალაქის რაიონთან შედარებით 10 ცენტნერით ნაკლები მარცვლეული მიიღეს.

ამ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად ორგანიზაციული მუშაობის ერთ-ერთი კონკრეტული ფორმაა ბრიგადული იჯარა. იგი შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად დავზოგოთ დრო, შრომითი და მატერიალური რესურსები, მეურნეობისა და საზოგადოების ინტერესებს შევუხამოთ მექანიზატორთა ინტერესები, ავამაღლოთ საშემსრულებლო დისციპლინა, ურთიერთდახმარება და ურთიერთმოთხოვნა. შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალი ფორმები ხელს უწყობს მინათმოქმედთა და მეცხოველეთა ინიციატივისა და აქტიურობის გამოვლენას, ზრდის წარმოების ეფექტიანობას, ხელფასს და ამავე დროს სავსებით შეესაბამება პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას თანამედროვე ეტაპზე.

მიუხედავად ამისა, ბრიგადულმა იჯარამ არ უნდა აგვაჩქაროს. მისი შექმნით გატაცება თვითმიზანი არ უნდა გახდეს. ვიდრე მეურნეობის დირექტორი ერთიანი განწესით მომუშავე ბრიგადის არსებობას ბრძანებით დაკანონებს, საჭიროა ნინასწარ იზრუნოს ბრიგადირის შერჩევაზე, მოიჯარეთათვის შრომისა და ანაზღაურების ოპტიმალური პირობების შექმნაზე. ამასთან შემდგომშიაც განუხრელად უნდა ასრულებდეს ორმხრივი ხელშეკრულების თავისუფალ ნაწილს, რათა საიჯარო რგოლები და ბრიგადები ხალისით, შეუფერხებლად მუშაობდნენ. მხოლოდ, ამ პირობებში უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ბრიგადა ეფექტიანად იმუშავებს, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაოსტატებას, მათში გაალვივებს თავისი საწარმოს პატრიოტიზმს, ბატონ-პატრონის გრძნობას,

შრომის ორგანიზაციის ამ პროგრესული ფორმის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში აქტიურად უნდა ჩაებან ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. მათ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, ღრმად, ყოველმხრივ შეისწავლონ შრომის ბრიგადული ორგანიზაციის ავ-კარგი და ხელი შეუწყონ საუკეთესო კოლექტივების გამოცდილების გავრცელებას. ეს დიდად დაგვეხმარება სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული მიჯნების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების შესრულებაში.

ქალაქს გადაეცა ორდენი

დონის როსტოვი. მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის, რომელიც ქალაქის მშრომელებმა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის წლებში, და სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის დონის როსტოვი დაჯილდოდა I ხარისხის სამამულო ომის ორდენით. 15 თებერვალს აქ გაიმართა შრომითი კოლექტივებისა და როსტოვის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც ქალაქისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და რუსეთის ფედერაციის მთავრობის სახელით მან დონის როსტოვისა და როსტოვის ოლქის მშრომელებს გულთბილად მიულოცა საზეიმოს ჯილდო.

საძმეთ გამოაჩინა

მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე, შუაგული წლის მეორე კვარტალის ანგარიში შრომობენ თბილისის კამოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მოწინავე მჭსოვალები ეთერ სისაური, ხირანა ცალხელიშვილი, მზია მიქაბაძე და სხვები.

მათ არ ჩამორჩენა მოწინავე მჭსელავი, კომუნისტი ლიანა მიქაიშვილი. იგი ცვლის დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.

წარმოების მუშაკებმა, რომლებიც საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გადაწყვეტეს გამოუშვან მაღალი ხარისხის პროდუქცია და ვადამდე შეასრულონ 1983 წლის გეგმა.

სურათზე: კამოლური წარმოების ერთ-ერთი საამქრო; მჭსელავი ლიანა მიქაიშვილი.

ვ. ბოგბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაისაჯნენ თესვისათვის მზადებაში დაშვებული შეცდომებისათვის

რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და მოწყობის ხელმძღვანელობის რესპუბლიკური შტაბის სხდომამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ვარძელაშვილის ხელმძღვანელობით განიხილა რამდენიმე ოპერატიული საკითხი.

განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. ითქვა, რომ კასპის, მცხეთის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ხარვეზები დარღვევები.

შეუწყნარებელი დაუდევრობა გამოიჩინეს მცხეთის რაიონის ნიჩბისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბაქრაძემ და მთავარმა აგრონომმა მერაბიშვილმა შვრიის თესლის წმენდისა და კონდიციურობის საქმეში. მიუხედავად აქ არსებული დიდი შესაძლებლობისა, 7 თებერვლისათვის შვრიის თესლის მხოლოდ ერთი მესამედი იყო გაწმენდილი, და ისიც უკონდიციო აღმოჩნდა.

უარესი მდგომარეობაა გარდაბნის რაიონის მარტყოფის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — რუსეთაშვილი და მთავარი აგრონომი — ჭილაშვილი). დაადგენენ რა მოტყუების გზას, გარდაბნის რაიონის თესლისა და სარგავი მასალის ინსპექციის უფროსის ენუქიძის ხელმოწყობით 1.300 ცენტნერ შვრიის თესლზე მიიღეს მეორე კლასის დამადასტურებელი მოწმობა, მაშინ, როდესაც შემოწმებით 800 ცენტნერი მხოლოდ მესამე კლასისა აღმოჩნდა, დანარჩენი კი უკონდიციო იყო. ამავე რაიონის ნორიოს მერქვეშის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — დუღაშვილი, მთავარი აგრონომი — ტალიაშვილი) ანალოგიური დანაშაული ჩაიდინეს.

ხარისხიანი თესლის წარმოების, შენახვისა და დასათესად დროული მომზადების საქმეში შეუწყნარებელი გულგრილობა გამოიჩინა ბოლნისის რაიონის რატევნის ხბორების გამოსაზრდელი კომპლექსის დირექტორმა ჭონელიძემ. აქ დაარღვიეს თესლის შენახვის ელემენტარული მოთხოვნები და ხარისხდაკარგული თესლით 8 თებერვალს შეუდგნენ თესვას.

ჩამორჩენაა ავტომანქანების, სათესლეების შეკეთებაში, საარწყავი ქსელის წმენდის სამუშაოებში გვიანდება საშემოდგომო ნათესებში მინერალური სასუქების შეტანა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა გარდაბნის რაიონში, ბოლნისის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში კი დღემდე არ შესდგომიან ჯეჯილის გამოკვებას.

შტაბის სხდომამ მოსთხოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის, ხილბოსტნეულის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, „საქსახსოფლტექნიკას“, ნაგთობპროდუქტებით მომარაგების საამმართველოს მნიშვნელოვნად აამაღლონ შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მომთხოვნელობა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულების უზრუნველსაყოფად.

შტაბის სხდომის გადაწყვეტილებით საგაზაფხულო თესლის წარმოების, ჩაყრის, მისი კონდიციის უზრუნველყოფის დავალების ჩაშლისა და ამ საქმეში გულგრილობისა და ნაკლებკონდიციური თესლით თესვის განზრახვისათვის გადაყენებული არიან თანამდებობიდან მარტყოფისა და ნორიოს საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომები ჭილაშვილი და ტალიაშვილი. შვრიის თესლის წმენდის უმიზეზოდ თვეობით გაჭიანურების, მისი დასათესად მომზადების საქმეში გამოჩენილი უპასუხისმგებლობის, მეთესლეობის აღრიცხვის ელექტრული მოთხოვნების უხეში დარღვევისათვის თანამდებობიდან გადაყენებულია მცხეთის რაიონის ნიჩბისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი მერაბიშვილი.

საგანგებო ბრძანებით ბ. ბ. ჭითანავამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რაიონის წარმომადგენლებს, და გულთბილად მიულოცა კრების მონაწილეებსა და მათი სახით კომუნისტებს, ყველა მშრომელს ეს მაღალი ჯილდო, უსურვა ახალი დიდი წარმატებები ხუთწლედის მესამე წელს მათ წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების რეალიზაციაში.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივნის ი. ქაჯაიას მოხსენებაში ალინინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიის, შრომითი დიდების ორდენის სრული კავალერის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ე. ს. ციირამეულ, სოფელ ციცხის კოლმეურნეობა-კომპლექსის ბამგეობის თავმჯდომარის ჯ. გ. შოგირაძის და სხვათა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რაიონის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაამრავლონ მიღწეული წარმატებანი, ყველა რეზერვი ჩაიყენონ ხუთწლედის სამსახურში.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. (საქინფორმი).

სანამ შეკერავ, თარგი გამოჭერ!

სახელს გაფრთხილება უნდა, პოზიციას — შენარჩუნება

ამას წინათ ფეხსაცმლის მაღაზიაში შევიარე. დახლთან ხალი ირეოდა, მომხმარებელსა და გამყიდველს შორის ზასეთი დიალოგის მოწმე გავხდი:

— იმპორტული ფეხსაცმელი ხომ არა გაქვთ?

— არა, ჩვენებურია, ქუთაისური.

— აბა, მაგი რას ივარგებს...

რატომღაც ბევრი მეტკინა, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. რატომ „არ ივარგებს“? ქუთაისური წარმოების რომაა, იმიტომ? — გავიფიქე გულნებაში.

აგერ, ათიოდე წლის გოგონა თვალცრემლიანი ემუდარება დედიკოს — ფეხსაცმელი მიყიდეო, და თან თავის გაცვეთილ ფეხსაცმელებს უჩვენებს.

— არ ვარგა, დედიკო, ქუთაისსაა, წამოდი, — დედას ძალით მიპყავს გოგონა.

უფრო მეტკინა გული. „ქუთაისსაა“... თითქოს, მეც ვიყო დამნაშავე გოგონას წინაშე.

კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი, ფეხსაცმლისთვის გული რატომ უნდა იტკინო?! დღეს უხარისხოს უშვებენ, ხვალ გაუამჯობესებენ. თითქოს ასე უნდა იყოს. მაგრამ განცდას ვერ უბრძანებ. განცდას და ფუნჯს კი საყვარელი ქალაქის სახელთან დაკავშირებული ყველა უარყოფითი მოვლენი იწვევს. გულსატკივნი ის არის, რომ გუშინ ხარისხიანს უშვებდნენ და დღეს პოზიცია ისად დათმეს!

ცხოვრება წინ მიდის, იცვლება მოდა. ადამიანის გემოვნებაც დროს მისდევს ფეხდაფეხ, და თუ უწინ ერთგვარ მოდასაყოლოლთ ძალაუნებურად ჰკიცხავდნენ, ახლა ხშირად გაიგონებთ — — „გემოვნებით აცვია და ახურავსო“.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩვენმა საწარმოებმაც დროის მოთხოვნებს უნდა „გაუძლონ“. ყველასგან დაწუნებული ფეხსაცმელთან კი არ უნდა სდიონ კვალში ცხოვრებას!

ნათქვამია, გაეკეთილს გატეხილ სჯობსო, და პირდაპირ უნდა მეთქვა, ამ ბოლო დროს ნამეტანი გაიტეხა სახელი ქუთაისურმა ფეხსაცმელმა, გაიტეხა და, მერე როგორ!

ადრე, ამ ათიოდე წლის წინათ, ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, მართლაც რომ, ერთ-ერთი გამორჩეული საწარმო გახლდათ, მთელ ქალაქში. აქაური ნაწარმზე, განსაკუთრებით ფორმრეფული ლახნებით დამზადებულ ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელებზე ერთობ დიდი მოთხოვნა იყო. სავაჭრო ორგანიზაციები ერთმანეთს ეცილებოდნენ ქსელში ქუთაისური ფეხსაცმლის შეტანაზე. და თავად ძნობოდა. დღემდე ანეგდოტივით შემორჩა ქუთაისს ერთი გახმაურებული ამბავი: მოსკოვში მივლენენთ მყოფი საწარმოს ერთ-ერთი მაშინდელი ხელმძღვანელი წვრილმანი ხულიგნობისათვის დააკავეს მილიციის მუშაკებმა — თურმე ნუ იტყვით და, უტიფრად მისჩერებოდა ქალებს ფეხებში. ქუჩაშიც კი ფეხდაფეხ მისდევდა მანდილოსნებს და ფეხსაცმლის ფასორნებს ამახსოვრებდა. მერე, როცა საქმის ვითარებაში გაერკვნენ, ბევრი იცინეს თურმე, ორგანოს მუშაკებმა. შეიძლება ეს ამბავი მართლაც სასაცილო ჩანდეს, მაგრამ ფაქტი ერთია: მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით ფეხსაცმლის ასორტიმენტის შერჩევა საწარმოს ყურადღების ცენტრში იყო მაშინ და ეს საქმითაც მტკიცდებოდა.

დაინტერესდი, რა მდგომარეობაა ახლა ამ საწარმოში? ძალზე არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, შეიძლება ითქვას, შემაშფოთებელიც კი. მარტო ის, რომ კომბინატის საწყობებში შემორჩენილი, გაუსაღებელი პროდუქციის ნაშთი მილიონ 800 ათას მანეთს შეადგენს, მთა შორის ზენორმატიული ნაშთი — მილიონ 900 ათას მანეთს, ნათლად მეტყველებს საწარმოს ეკონომიკურ და ფინანსურ სიძნელეებზე, ორიათასიანი კოლექტივის პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში 360 კომუნისტს აერთიანებს, ხოლო კოჰკავშირული ორგანიზაცია — 910 ახალგაზრდას, საწარმოში ხშირად მოდიან ხელმძღვანელი ამხანაგებიც, დგება მოხსენებითი ბარათები, იწერება ბრძანებები, ისახება ღონისძიებანი, იცვლებიან დირექტორები, ისჯებიან და იხსნებიან კომბინატის საშუალო რგოლის ხელმძღვანელები, მაგრამ არა და არა, მდგომარეობა მაინც არ სწორდება. ისიც კი ითქვა, კომბინატის საწყობებში წლების მანძილზე 459 ათასი მანეთის უვარგისი დამზმარე მასალები დაგროვდა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდან, ვგონებ, თანხმობაც კი მიეღიათ მის განადგურებაზეო.

ოთხას ორმოცდაცხრამეტი ათასი მანეთი... ხუმრობა საქმეა?!

1981 წლის 26 მარტს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელიც კომბინატის მიერ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში 200 ათასი მანეთის უხარისხო პროდუქციის გაგზავნის სამარცხვინო ფაქტს ეძღვნებოდა. ამ მწარავე სიგნალს შედეგად ის მოჰყვა, რომ პროკურატურაში აღიძრა საქმე უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის, სამუშაოდან მოიხსნა ცხრა მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, ექვს ხელმძღვანელს ადმინისტრაციული სასჯელი დაედო, ხოლო ოთხს — პარტიული; მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრა 37 ხელმძღვანელს და 605 მუშას, მაგრამ ამ სამარცხვინო ლაქას სასჯელით ხომ ვერ ჩამოირეცხავს კოლექტივი?!

და განა მარტო ეს? წლების მანძილზე კომბინატში მოქმედებდა ბოროტმოქმედთა ჯგუფი, სხვადასხვა მაქინაციითა და კომბინაციით ათიათასობით მანეთი რომ გაფლანგა და მიითვისა. მართალია, ეს ჯგუფი უკვე მხილებული და გასამართლებულია, მაგრამ...

ჩვენ შევეხვდით საწარმოს სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს: კომბინატის დირექტორი ბეჟან ახვლედიანი ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი ინჟინერია. იგი ახლახან დაწინაურეს დირექტორად. პარტიული კომიტეტის მდივანი ნანი ინანეიშვილი კი ამ საწარმოში გაიზარდა; ჯერ მუშა იყო, მერე ოსტატი, ლაბორანტი, ინჟინერი, დაუსწრებლად უმაღლესი განთლება მიიღო და ბოლოს, როგორც უკვე ვთქვით, პარტიული კომიტეტის მდივნადაც აირჩიეს.

ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ საწარმოს ხელმძღვანელები არსებული სიძნელეების დასაძლევად და კომბინატის კოლექტივის პრესტიჟის აღსადგენად, ძალზე პრინციპულიცაა და საგულისხმოც.

— უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია კვლავ და კვლავ დისციპლინის — პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების საკითხი. ჩვენთან ჯერ კიდევ დიდია მუშათა დენადობა (იგი 12 პროცენტს შეადგენს); ის, რომ შარშან უმიზეზო გაცდენებმა 711 კაცდღე შეადგინა და დაგვიანების 876 შემთხვევა იყო, მასალათა ურიცმო მიწოდების გამო კი შიდასაწარმოო მოცდენებმა 7142 კაცდღე შეადგინა, სწორედ დისციპლინის განმტკიცების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებისათვის მოგვიწოდებს, — ეს პარტიული კომიტეტის მდივნის სიტყვებია.

საწარმოს დირექტორსა და მასთან ერთად ჩვენს, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ზოგიერთი პრობლემური საკითხის მოგვარება. არსებითად უნდა გაუმჯობესდეს მომზმარებელთა მოთხოვნის შესწავლა-პროგნოზირება, ამასთანავე, აუცილებელია საწარმოს სპეციალიზაცია. როგორც გამოირკვა, მოსახლეობის მოთხოვნების შესწავლაზე არც სავაჭრო ბაზები იტკივებენ თავს მაინცდამაინც და არც საწარმოს ხელმძღვანელები ზრუნავენ ჯეროვნად. არადა, უამისოდ რომ ვერ ხერხდება ვერც საწარმოს პრესტიჟის აღდგენა და ვერც მომხმარებლის გმემოვნების დაკმაყოფილება?! შარშან კომბინატში ათთვისეს მამაკაცის სპორტული ფეხსაცმლის „ტრენინგის“ წარმოება. მოგეხსენებათ, ამ სახეობის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა და, თუ თავდაპირველად მხოლოდ აქ აწარმოებდნენ ამ პროდუქციას, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ახლა რესპუბლიკის სხვა საწარმოებმაც ითვისეს თურმე. როდესაც საწარმოს სპეციალიზაციაზე ვლაპარაკობთ, სასურველია რეალურ მდგომარეობასაც დავუფიქრდეთ, ასე ხელაღებთ ნუ წავართმევთ ამა თუ იმ საწარმოს საკუთარ „ხელწერას“, მით უმეტეს, თუ რიგიან პროდუქციას გამოუშვებ, და მომზმარებელიც კმაყოფილი ეყოლება.

ასევე საშურ საქმედ მიგვაჩნია კომბინატის ტექნიკური განახლება, მით უმეტეს, როცა არსებული დაზგა-დანადგარების დაახლოებით 35 პროცენტი მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილია.

არის სხვა პრობლემებიც. განა ნაკლებ დასაფიქრებელია მუშათა კადრების მომზადება-გადამზადების საკითხი, ანდა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ა. შ.

ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, მოყვასის თვალით დანახული და ასევე მოყვასი გულითაა განცდილი. ამაში, ალბათ, თქვენც დაგვეთანხმებთო, მეგობრებო! ურემი მიდის და ნუ გადავაბრუნებთ, მით უმეტეს, როცა ნათლად ჩანს სწორი გზა.

ევგენი ბლიაძე.

ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კათედრის გამგე.

შრომითი გამარჯვების საფინდარი

საახალწლოს მივაყოდოთ 25 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სიმინდის ჰექტარობრივი მოსავლიანობა გავზარდოთ 35 ცენტნერამდე. ვაწარმოოთ 6.800 ტონა ხილი, 2550 ტონა ტუნგი, დავამზადოთ 33 ათასი ტონა წვნიანი და უხეში ხაკვები...

ეს არის სტრიქონები ვალდებულებებიან, რომლებიც ლენინის ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

კრება მიეძღვნა რაიონისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას, რომელიც მას მიენიჭა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჭითანავამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რაიონის წარმომადგენლებს, და გულთბილად მიულოცა კრების მონაწილეებსა და მათი სახით კომუნისტებს, ყველა მშრომელს ეს მაღალი ჯილდო, უსურვა ახალი დიდი წარმატებები ხუთწლედის მესამე წელს მათ წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების რეალიზაციაში.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივნის ი. ქაჯაიას მოხსენებაში ალინინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიის, შრომითი დიდების ორდენის სრული კავალერის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ე. ს. ციირამეულ, სოფელ ციცხის კოლმეურნეობა-კომპლექსის ბამგეობის თავმჯდომარის ჯ. გ. შოგირაძის და სხვათა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რაიონის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაამრავლონ მიღწეული წარმატებანი, ყველა რეზერვი ჩაიყენონ ხუთწლედის სამსახურში.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავ

პარტიული ცხოვრება: 80-იანი წლების კომუნისტები

ცოცხალი მემატიანე

ალამბრელმა დურსუნ ნიკარაძემ მძიმედ ჩამოათავა ქვითკირის ოთხსაფეხურიანი კიბე და ეზოში შემოგვეგება. ჩვენ წინ იდგა სოფლის პირველი თავმჯდომარე, იმ ქარიშხლიან დღეთა მომსწრე და მემატიანე. სამწუხაროდ, ბევრი როდი შემოგვრჩა ისეთი, ვინც პირველი პარტიული და კომკავშირული უჯრედი ჩამოაყალიბა, „ამხანაგობაში“ პირველი ხნული გაავლო, პირველი ნერგი დარგო და გაახარა.

დურსუნისათვის გვინდოდა გამოგვეკითხა აჯარაში საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრების პირველი წლების ამბავი, მაგრამ ეზოში, ფეხზე მდგარმა ლაპარაკის განგრძობა არ ისურვა: სიღარბით წელგატეხილი რომ ვიყავი, სტუმრის გამოჩენისა მაშინ არ შეშინოდა, ახლა მით უფრო, უეხოსა და გამომლაპარაკებელს თვითონ ვეძებო, — ხუმრობით გვითხრა და შინ შეგვიპატიჟა. ოთახში მაგიდაზე გაზეთები იწყო. გაზეთებზე სათვალე იდო.

— თვალთ დამაკლდა, დიდხანს ვერ ვკითხულობ, უფრო მეტად შვილიშვილი მიკითხავსო,— ისე გვითხრა, თითქოს ხანდაზმულობის გამო თავს იმართლებდა.

საუბარს შევუვეთო, წარსული მოიგონა.

— ახლანდელი ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ისეთი ტყე იყო, ჩიტი კურკანტელს ვერ გაიტანდა. იქით საქონელი რომ გაგვეპარებოდა, უკან არ ბრუნდებოდა, ან ჭაობში ჩაიძირებოდა, ან მგელი დაგლეჯდა.

სკოლიდან დაბრუნებული დურსუნის შვილიშვილი მოკრძალებით მოგვესალმა და ბაბუას მიეხუტა.

— ახლანდელ ბაღნებს ჰგონიათ ეს სოფელი ასეთი იყო, აშენებული, დამშენებული. დაკერებული შარვლის ჩაცმას სახლშიც აღარ კადრულობენ, ჩვენ ძროხის ტყავს თუ ვიშოვიდით, ქალამანს ამოვაგვირისტებდით და ეს დიდ სიმდიდრედ მიგვაჩნდა. სოფელში სკოლა სად იყო, ჯამეში ხოჯა ზეპირად გვასწავლიდა ლოცვებს. ახალდროების დაწყების შემდეგ ალამბარში ღამის სკოლა გიახსნა და იქ დავდიოდით ჯეელიცა და ხანდაზმულიც.

სწორედ იმხანად სოფელში ჯერ „ამხანაგობები“ ჩამოყალიბდა. შემდეგ ისინი გააერთიანეს და ერთი კოლმეურნეობა შეიქმნა. მდგომარეობის დაკარგვით გამწარებული მოლა-ხოჯები მოსვენებას არ გვაძლევდნენ, განსაკუთრებით პარტიულებსა და კომკავშირელებს მტრობდნენ. ლეღვაში მასწავლებელი ქალი არ დაინდეს და თოფით დაჭრეს, ხუცუბნელი თავმჯდომარე მ. ხაბაზი მოკლეს. ახალი საქმის აქტივისტებს ათასნაირ ხრიკებს უწყობდნენ. მაშინ სოფელში კომუნისტები თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ, კომკავშირელები მეტნი ვიყავით. „ამხანაგობები“ ერთ კოლმეურნეობად რომ გაერთიანეს, თავმჯდომარედ მე აბირჩიეს.

— ხალხო, რას ამობთო, — ავყვირდი, — სოფლის თავკაცი განათლებული უნდა იყოს, მე რა ვიცი, თანაკ აჯარას არ გავცილებივარ.

—წიგნის წერას კი არ გთხოვთ, შენ რომ ბუშაობ, სხვაც ისე ერთგულად ამუშავე და საქმეც წინ წავალო, — მითხრეს. ასე ჩამბარეს სოფლის ბედი. მაშინ სად იყო ავტომანქანა ან ტრაქტორი. ბარი და თოხი იყო ჩვენი „ტექნიკა“. მიწა რომ არ გვეყო, ჭყონიების ეკალ-ბარდი გავკაფეთ. სახელმწიფომ ჩაის თესლი გამოგვიყო, სესხი მოგვცა, გვიპირდა, საკუთარი ავტომანქანა არ ჰყავდეს.

მომდევნო. წლებში ჭირი და ლხინი ერთმანეთს გადაეგბა. თუმცა ადამიანს კარგი უფრო ახსომდება. 1946 წელს დურსუნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იმავე წელს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვეს.

1930 წელს ალამბარის პარტიულ ორგანიზაციაში 5 კომუნისტი ირიცხებოდა, ახლა ორასამდეა. დურსუნი 18 წელი ედგა სოფლის სათავეში, ხანდაზმულები ახლაც

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲡᲞᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲐᲛᲒᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ

ᲓᲝᲜᲬᲐᲥᲘᲡ IX ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

თავდაცვის ამოცანათა გადაწყვეტაში თვალსაჩინო როლი ენიჭებათ დოსაფის ორგანიზაციებს, რომლებმაც აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და სამშობლოს დასაცავად მშრომელთა მომზადებას. დოსაფის საზოგადოების ცხოვრებაში მოხდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — 16 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა დოსაფის IX საკავშირო ყრილობა.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. თ. დმიტრიევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. მიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, სამინისტროების, უწყებების, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ომისა და შრომის ვეტერანები, აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების თავდაცვით-სპორტული ორგანიზაციების დელეგაციათა ხელმძღვანელები.

დელეგატებმა და სტუმრებმა აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. ი. ვ. კაპიტონოვმა წაიკითხა დოსაფის IX საკავშირო ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რომელსაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

მოხსენება „სსრ კავშირის დოსაფის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად თავდაცვითი საზოგადოების ორგანიზაციათა მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები“ გააკეთა სსრ კავშირის დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, ფლოტის ადმირალმა გ. მ. ეგოროვმა.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის დოსაფის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ გ. ვ. ტომილინმა.

შემდეგ დაიწყო მოხსენებათა განხილვა (საკვლევი).

ᲛᲔ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ

შარშან, 10 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა საუბარი მრგვალ მაგიდასთან „მცირე ჰიდროელერგეტიკის განვითარების სადღეისო პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები და პრაქტიკოსი ენერგეტიკოსები. იმ დროისათვის გამოქვეყნდა აგრეთვე მოწინავე სტატია „ენერგეტიკა მეურნეობის საფუძველია“.

მრგვალ მაგიდასთან გამართულ საუბარს ენერგეტიკის დარგში მომუშავე ბევრი მეცნიერი და სპეციალისტი გამოეხმაურა. რედაქციამ პრაქტიკულად ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების ძირითადი პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული თითქმის ყველა გამოხმაურება დაბეჭდა.

დღეს გთავაზობთ აკადემიკოს ვ. გომელაურის წერილს, რომლითაც ჩვენ ზემოაღძრულ საკითხებზე საუბარს ძირითადად დამთავრებულად მივიჩნევთ. თუმცა აქვე დავძენთ, რომ ყოველი საჭიროების მიხედვით გაზეთი კვლავაც გამოეხმაურება რესპუბლიკაში ჰიდროენერგომშენებლობის პრობლემებს.

ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲐᲗ ᲛᲪᲙᲘᲪᲔ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე წლებიდან ინტენსიური შუშობა გაიშალა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მტკიცე ელექტროენერგეტიკული ბაზის შესაქმნელად. ამჟამად საქართველოს ენერგეტიკული სისტემა აერთიანებს მრავალ ელექტროსადგურს, მათ შორის უნიკალურ ენგურჰესს (რომლის წლიური გამომუშავება აღემატება 5 მილიარდ კილოვატსაათს) და თბილისის სახელმწიფო რაიონულ თბოელექტროსადგურს (რომლის წლიური გამომუშავება აღწევს 7 მილიარდ კილოვატსაათს). საჯარისაა ითქვას, რომ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის წლიურმა მოხმარებამ, რომელიც 1960 წელს 3,7 მილიარდ კილოვატსაათს უდრიდა, ამჟამად 15 მილიარდ კილოვატსაათს მიაღწია.

ზემოხსენებულის მიუხედავად, 1970 წლიდან საქართველოში შენელდა ელექტროენერგეტიკის განვითარების ზრდის ტემპი. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მონაცემებით ელექტროენერგიის წლიურმა მოხმარებამ ერთ მოსახლეზე 1978 წელს რესპუბლიკაში შეადგინა 2520 კილოვატსაათი, მაშინ, როცა კავშირის მასშტაბით საშუალოდ ერთ მოსახლეზე 4620 კილოვატსაათი მოდიოდა. საქართველოში ამჟამადაც დაბალია შრომის ელექტროაღჭურვილობა, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. რესპუბლიკაში განუბრელად იზრდება ელექტროენერგიის დეფიციტი შემოდგომა-ზამთრის მაქსიმალურ დატვირთვათა პერიოდში. ამის გამო საჭირო ხდება სახალხო მეურნეობის ცალკეული ობიექტების ელექტრომომარაგების შეზღუდვა.

შექმნილი ვითარება იმით აიხსნება, რომ საქართველოს ენერგეტიკული სისტემის სტრუქტურა ამჟამად არ არის ოპტიმალური. თანამედროვე ენერგეტიკული სისტემების ექსპლოატაცია ნათელყოფს, რომ დღე-ღამის განმავლობაში მთელი ელექტროენერგიის დაახლოებით 60-65 პროცენტი თანაბრად იხარჯება. ეს შეადგენს სისტემის დატვირთვის ეგრეთ წოდებულ ბაზისურ ნაწილს. სისტემის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის დანარჩენი ნაწილის მოხმარება დღეღამის განმავლობაში კვეთრ ცვალებადობას განიცდის. იგი ენერგეტიკული სისტემის ეგრეთწოდებულ ნახევრად პიკურ და პიკურ დატვირთვას შეადგენს.

იმის გამო, რომ ქვანახშირით, მაზუთით მოქმედი ელექტროსადგურები, უცალცალ დატვირთვით მუშაობის დროს, განსაკუთრებით საიმედო და ეკონომიურია, მათ ბაზისურ ელექტროსადგურს უწოდებენ და იყენებენ ბაზისურ დატვირთვათა დასაფარავად.

ნახევრად პიკურ და პიკურ დატვირთვათა დაფარვა თანამედროვე ელექტროენერგეტიკის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. საქართველოს პირობებში ეს პრობლემა ადვილად წყდება სათანადო ტიპის ჰიდროელექტროსადგურების აგების გზით. მაგალითად, ენგურჰესის წყალსაცავში წყალდიდობის დროს გროვდება წყლის ისეთი მარაგი, რომელიც ამჟამად საკმარისია საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ნახევრად პიკურ და პიკურ დატვირთვათა მნიშვნელოვანი ნაწილის დასაფარავად მთელი წლის განმავლობაში.

ელექტროენერგიის მოხმარების განუბრელი ზრდის მიუხედავად ანალოგიური ტიპის ჰიდროელექტროსადგურებისა და ეგრეთ წოდებული ჰიდროაკუმულაციური ელექტროსადგურების შემდგომი მშენებლობა საქართველოს ძირითად მდინარეებზე უზრუნველჰყოფს ენერგეტიკულ სისტემაში ნახევრად პიკური და პიკური ელექტროენერგიის საჭირო რაოდენობის გამომუშავებას მრავალი ათეული წლის განმავლობაში.

სამოციანი წლების მიწურულს საქართველოს ენერგეტიკოსთა უმრავლესობისათვის ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში ქვანახშირისა და მაზუთის მზარდ დეფიციტთან დაკავშირებით ბაზისური ელექტროენერგიის გამომუშავების შემდგომი გაფართოების პრობლემა ჩვენს რესპუბლიკაში მხოლოდ ბაზისური ელექტროსადგურის აგებით უნდა გადაწყვეტილიყო. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისის დასაბუთებულად წარმოდგენილ მასალას 1969-1970 წლებში სათანადო ყურადღება არ მიეცა.

ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება 1975 წლისათვის მკვეთრად შეიცვალა. მაგრამ ზემოხსენებულმა შეფერხებამ უდავოდ შეუშალა ხელი საქართველოში ბაზისური ელექტროსადგურის აგების საკითხის დროულად გადაწყვეტას. სწორედ ამან განაპირობა რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარებაში ჩამორჩენა.

ბაზისური ელექტროენერგიის მზარდი დეფიციტის მიუხედავად საქართველოს ბაზისუ ი ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების საკითხი მხოლოდ ახლა დაისვა მთელი სერიოზულობით. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ბაზისური ელექტროსადგურებს აგება ამჟამად საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის მთელ რიგ პუნქტებშია საჭირო; გარდა ამისა, ბაზისური ელექტროსადგურების მშენებლობა დაკავშირებულია ფრიად მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებებთან და მოითხოვს უნიკალური დანადგარებისა და აპარატურის გამოყოფას. ბუნებრივია, რომ მანამდე რესპუბლიკაში მოიმატებს ელექტროენერგიის დეფიციტი შემოდგომა-ზამთრის თვეების განმავლობაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდში არ არის მოსალოდნელი ჭარში ბაზისური ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი რაოდენობის გამომუშავება მეზობელ ენერგეტიკულ სისტემებში. ასეთ ვითარებაში ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ როგორც ამჟამად, ისე მომავალში, შეგვნების მაღალი დონე უნდა გამოიჩინოს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ელექტროენერგიის მაქსიმალურ დაზოგვას როგორც სახალხო მეურნეობაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში. ელექტროენერგიის დაზოგვის საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ საწარმოთა ტექნიკურ ხელმძღვანელებს და ფაბრიკა-ქარხნების ცალკეული უბნების წამყვან მუშაკებს.

მსოფლიოში თხევადი სათბობების მნიშვნელოვან გაძვირებასთან და ამ სათბობის დეფიციტთან დაკავშირებით ამჟამად შესამჩნევია მცირე და საშუალო მდინარეებზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხებისადმი გაძლიერებული ინტერესი.

საქართველოს პირობებში ამ პრობლემის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენი მცირე და საშუალო მდინარეები მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებად წყალუხვია, ვიდრე იმავე კატეგორიის მდინარეები საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებსა და უცხოთის ზოგიერთ ქვეყანაში. ამასთან, ჩვენი მდინარეებისათვის, ისევე როგორც სამხრეთის ყველა მთის მდინარეებისათვის, დამახასიათებელია ჩამონადენის მკვეთრი უთანაბრობა წლის განმავლობაში. ცნობილია, რომ მთაში თოვლის დნობის ხანმოკლე პერიოდის დამთავრების შემდეგ ჩვენს მდინარეებში წყლის როოდენობა მკვეთრად კლებულობს. თუ ამ მდინარეებზე ასაგები ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე წყალდიდობის პერიოდის ჩამონადენის მიხედვით იქნება შერჩეული, მაშინ ეს ელექტროსადგურები წყალდიდობის დროს გამოიმუშავებენ სეზონურ ელექტროენერგიას და ამავე დროს ეს ელექტროენერგია ეფექტიან ენერგეტიკულ სისტემებში გადაცემულია. ასეთ ვითარებაში ჩვენ ენერგეტიკული სეზონური ელექტროენერგიის რაოდენობამ თითქმის 2 მილიარდი კილოვატსაათი შეადგინა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მცირე ჰიდროელექტროსადგურების მასობრივ მშენებლობას ამ ელექტროსადგურების მშენებლობის არსებითი გაიაფების შემთხვევაშიც კი, უდავოდ მეტად მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებები და მატერიალური რესურსები დასჭირდება.

ამასთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ ჩვენს მცირე და საშუალო მდინარეებზე ჰიდროელექტროსადგურების მასობრივი მშენებლობა საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პიკურ და ნახევრად პიკურ დატვირთვათა მთლიან დაფარვას საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში და შესაძლებელს გახდიან პიკური ელექტროენერგიის გარკვეული რაოდენობის გადაცემას მეზობელ ენერგეტიკულ სისტემებში. საკითხი საქართველოს პატარა და საშუალო მდინარეებზე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების განიცდიდა. მიუხედავად ამისა, წყალდიდობის პერიოდში ჩვენგან მეზობელ ენერგეტიკულ სისტემებში გადაცემულმა სეზონური ელექტროენერგიის რაოდენობამ თითქმის 2 მილიარდი კილოვატსაათი შეადგინა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მცირე ჰიდროელექტროსადგურების მასობრივ მშენებლობას ამ ელექტროსადგურების მშენებლობის არსებითი გაიაფების შემთხვევაშიც კი, უდავოდ მეტად მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებები და მატერიალური რესურსები დასჭირდება.

ამასთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ ჩვენს მცირე და საშუალო მდინარეებზე ჰიდროელექტროსადგურების მასობრივი მშენებლობის საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პიკურ და ნახევრად პიკურ დატვირთვათა მთლიან დაფარვას საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში და შესაძლებელს გახდიან პიკური ელექტროენერგიის გარკვეული რაოდენობის გადაცემას მეზობელ ენერგეტიკულ სისტემებში. საკითხი საქართველოს პატარა და საშუალო მდინარეებზე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მასობრივი მშენებლობის შესახებ შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეფექტიანად იქნება ათვისებული რესპუბლიკის ძირითადი მდინარეების ჰიდროენერგეტიკული რესურსები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ჩვენი ენერგეტიკოსის აზრით, მაღლივი კაშხალების მშენებლობა და დიდი მოცულობის წყალსაცავების შექმნა ჩვენს მდინარეებზე უარყოფით ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს და ამის გამო გაუმართლებელია. ასეთი თვალსაზრისი გამორიცხავს ჩვენი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას და ფაქტობრივად ნიშნავს უარი ვთქვათ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უკვე 1962 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შემდეგი რაოდენობით იყო აგებული 72 მეტრზე მეტი სიმაღლის კაშხალები: ესპანეთში — 52, იტალიაში — 48, შვეიცარიაში — 30, საფრანგეთში — 25, იაპონიაში — 89, ავსტრიაში — 15, იუგოსლავიაში — 12, შეერთებულ შტატებში — 177 და სხვა.

ამ მონაცემების თანახმად, კაშხალების მშენებლობაზე უარის თქმა, ალბათ, არ იქნებოდა გამართლებული. ამის ნაცვლად, როგორც ჩანს, კაშხალებისა და წყალსაცავების დაგეგმარების დროს საჭიროა ყველა იმ ღონისძიების გათვალისწინება, რომლებიც მთლიანად გამორიცხავენ ხსენებული ობიექტების შექმნით გამოწვეულ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგებს.

თანამედროვე პირობებში უდიდეს ყურადღებას იმსახურებს თხევადი სათბობის მაქსიმალური დაზოგვის საკითხი. აღსანიშნავია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ამჟამად მეცნიერებისა და ტექნიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანებია ნავთობიდან მსუბუქი ფრაქციების, კერძოდ, ბენზინისა და დიზელის საწვავის მაქსიმალური რაოდენობის გამოყოფა და ქვანახშირიდან ძრავებისათვის საჭირო თხევადი სათბობების მიღება. ცხადია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა განაპირობებს ნავთობის გადამუშავების პროდუქტებში ძმიმე ფრაქციების და, კერძოდ, მაზუთის ხვედრითი წონის შემცირებას და მისი ხარისხის შესაბამის გაუარესებას.

თხევადი სათბობის, კერძოდ, მაზუთის დაზოგვის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ენერგიის არატრადიციული წყაროებისა და სითბოს მეორეული რესურსების გამოყენებასთან. ამ მხრივ საქართველოში პრაქტიკული შედეგებია მიღწეული ეგრეთ წოდებული თბური ტუმბოს დანადგარების კვლევისა და დამუშავების დარგში. დღეისათვის რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციების მიერ შესრულებულია ხსენებული დანადგარების პროექტები, რომელთა განხორციელებას დიდ ყურადღებას უთმობენ როგორც რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოები, ისე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. უახლოესი წლების განმავლობაში თბური ტუმბოს დანადგარების ფართო დანერგვა ჩაის მრეწველობასა და კომუნალურ ენერგეტიკაში მოგვცემს მაზუთის საკმაოდ დიდი რაოდენობის დაზოგვის შესაძლებლობას.

ამჟამად ყველა ტექნიკურად განვითარებულ ქვეყანაში ინტენსიურად იკვლევენ მზის ენერგიის გამოყენების საკითხს. არსებული მონაცემების თანახმად, ენერგიის ამ არატრადიციულმა ფორმამ შედარებით მოკლე ხანში უნდა პოვოს საკმარისად ფართო პრაქტიკული გამოყენება შენობების გათბობის, ცხელი წყლით მომარაგებისა და შენობებში ჰაერის კონდიციირების საქმეში.

ამ მიმართულებით გამოკვლევები საქართველოშიც მიმდინარეობს. ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითმა და ექსპერიმენტალურ დაპროექტების ზონალურმა ინსტიტუტმა ოქრაყანაში მოაწყო საცდელი სასოფლო ტიპის სახლი, რომლის თბომომარაგება განხორციელდება მზის ენერგიით. ამ შენობის თბომომარაგების სისტემის მუშაობის შესწავლამ დიდად უნდა შეუწყოს ხელი ამგვარი სისტემების ფართოდ დანერგვას ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

დიდ ინტერესს იმსახურებს მზის ენერგიით მოქმედი ექსპერიმენტული დანადგარი, რომელსაც ქმნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი. ხსენებული გამოკვლევები სრულდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვახტანგ მახალდიანის ხელმძღვანელობით. ამჟამად ამ გამოკვლევებს აგრძელებენ მისი მოწაფეები და თანამშრომლები. დანადგარი აღჭურვილია გ. მ. კრჟიჟანოვსკის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მზის სითბოს კონცენტრატორებით. მზის სითბოს ხარჯზე იმუშავებს როტაციული ძრავა, რომელიც უზრუნველყოფს სარწყავ სისტემაში წყლის მიწოდებას.

„საქმთავარსპეცმონტაჟმშენის“ სისტემაში ორგანიზებულია მზის სითბოს კოლექტორების სერიული წარმოება. მზის სითბოს ეს კოლექტორები შესაძლებელს ხდიან მზის ენერგიით მოქმედი ცხელი წყლით მომარაგების სისტემების ფართოდ დანერგვას ჩვენი რესპუბლიკის ობიექტებზე.

გამოკვლევები თბომომარაგების სისტემებში მზის ენერგიის გამოყენების დარგში სრულდება აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ყველა ზემოხსენებულ სამუშაოთა აქტუალობა და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ნათელია. ამასთან დაკავშირებით ეს სამუშაოები უდავოდ იმსახურებენ ყოველმხრივ მხარდაჭერისა და სეიროზულ ყურადღებას.

ენერგიის არატრადიციულ ფორმას წარმოადგენს აგრეთვე ქარის ენერგია. ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად ქარის ენერგიის გამოყენების საკითხის შესწავლას ამჟამად სერიოზული ყურადღება ეთმობა მთელ რიგ ქვეყნებში. მოსალოდნელია, რომ ინტერესი ამ პრობლემისადმი უახლოეს ხანს მნიშვნელოვნად გაიზრდება. საქართველოში შეიქმნა ქარის ენერგიით მოქმედი საცდელი დანადგარები, რომლებსაც იყენებენ წყლის გადასატუმბად კოლეთის დაბლობის დაშრობის სისტემებში. ამ დანადგარების მუშაობის შესწავლა უდავოდ იმსახურებს სერიოზულ ინტერესს. საფიქრებელია, რომ ქარის ენერგიით მოქმედ დანადგარებში, მზის ენერგიით მოქმედი დანადგარების მსგავსად, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ენერგიის აკუმულაციის პრობლემის გადაჭრას. კერძოდ, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში პერსპექტიული აღმოჩნდება ქარის ენერგიით მოქმედი დანადგარების კომპლექსური გამოყენება ჰიდროსაკუმულაციო ელექტროსადგურების სისტემებში.

საქართველოში ამჟამად საკმაო ფართო მასშტაბი აქვს თერმული წყლების მოპოვებასა და გამოყენებას. ეჭვი არ არის, რომ ამ დარგში წარმოებული მუშაობის შემდგომი გაფართოება უზრუნველყოფს თხევადი სათბობის მნიშვნელოვანი რაოდენობის დაზოგვას ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს ბაზისური სადგურის მშენებლობის საკითხის დროული გადაწყვეტა, რესპუბლიკის ძირითად მდინარეებზე პიკურ და ნახევრად პიკურ დატვირთვათა დასაფარავად გათვალისწინებული მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების შემდგომი გეგმაზომიერი მშენებლობა, ელექტროენერგიისა და სითბოს უყაირათო ხარჯვის სრული აღკვეთა, თბური ტუმბოს დანადგარების ფართოდ დანერგვა, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების რაციონალური გამოყენება და ენერგიის არატრადიციული წყაროების ეფექტიანი უტილიზაცია მთლიანად უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას როგორც სითბოთი, ისე ელექტროენერგიით.

ვახტანგ გომელაური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ 25 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ფოთის № 12 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელს 25 წელი შეუსრულდა. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები გახდნენ კვალიფიციური სპეციალისტები, საწარმოთა ხელმძღვანელები, ინჟინრები, მეცნიერი მუშაკები. მეოთხედი საუკუნის მანძილზე ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კედლებში ცხოვრების საგზური მიიღო თითქმის შვიდი ათასმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა.

პროფტექსასწავლებელი ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთმშენებელ-გემთსაშენებელი ქარხნის სახაზო სასწავლო დაწესებულებაა. იგი ამზადებს მომავალ გემთმშენებლებს, გემის ამწყობ ზეინკლებს, გემის ელექტრიკოსებსა და მოტორისტებს, გემის ლითონის კორპუსების ამწყობებს, ავტომერქანიტე ზეინკლებს, რომელიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგზავნებიან სამუშაოდ ამ ქარხანაში.

სურათზე: მომავალი გემთმშენებელი ირმა პაპავა — ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მეშვიდეკლასელი მოსწავლეა.

ი. ბოსტონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲛᲝᲜᲐᲮᲔᲡ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ახალგაზრდა მუშების დამკვიდრების პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ ახლახან ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ითვლებოდა მარადა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე, პრაქტიკულად მოხსნილია დღის წესრიგიდან. ეს უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ამ დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის უფროსმა პ. ქოჩაკიძემ. „თუ წინათ, — თქვა მან, — დიდი ხნის დარწმუნება გვიხდებოდა, რათა დაგვეთანხმებინა ახალგაზრდა მშენებლები ემუშავათ ჩვენთან, ახლა მსურველები მრავლად არიან. მარტო ბოლო ნახევარ წელიწადში სამჯერ გაიზარდა კომკავშირული საგზურით მოსული ახალგაზრდების რიცხვი. ახლა ჩვენ სამასზე მეტი კომკავშირელი გვყავს, ეს კი ნიშნავს, რომ მშენებლობაზე ყოველი მესამე კომკავშირელია. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულმა სასურველი სამუშაო მოსახა“.

— არავინ წასულა მშენებლობიდან? — დავინტერესდით ჩვენ.

— წავიდა რამდენიმე ახალგაზდა, მაგრამ თითოეულს საპატიო მიზეზი ჰქონდა, — გვიპასუხა მან.

რა იზიდავს ახალგაზრდობას სწორედ ამ დამკვრელურ მშენებლობაზე? — კანონზომიერად დაგვებადა კითხვა. ამ კითხვაზე პასუხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის ჯერ კიდევ ბევრ სამშენებლო ობიექტზე ნომერ პირველ პრობლემად რჩება ახალგაზრდა მუშათა კადრების პრობლემა, მათი ქრონიკული დეფიციტი.

— საქმე ის არის, — თქვა პ. ქოჩაკიძემ. — რომ ჩვენი შტაბის შექმნის პირველი დღეებიდანვე მისი მთავარი მიზანი, მთავარი ამოცანა გახდა ახალგაზრდა მშენებლებისათვის, მათი შრომის, ყოფის, დასვენების პირობებისათვის ზრუნვა. გასაგებია, რომ თავიდანვე როდი მოვავლარეთ ყველაფერი. გვქონდა სიძნელეებიც, წარუმატებლობა, შეცდომები მუშაობაში, რაც არც თუ იშვიათია დიდი მშენებლობის დაწყებისათვის, მაგრამ დახმარება, მხარდაჭერა, რასაც ყოველ საქმეში ეგრძნობდით გენერალური მოიჯარის—ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მხრივ, გვანიჭებდა ძალას და რწმენას მუშაობაში.

მაგისტრალი, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთში დიდი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შექმნა, ისევე

უკრაინული

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუფყეგა

ფიქრები საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის შემდეგ

საქმეს სიყვარულით ვემსახურეთ

გონებრივ, შრომითს, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად უდიდესი ყურადღება ექცევა ფიზიკურ აღზრდას, როგორც ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის მძიმეარე დღეებში ვ. ი. ლენინი განმარტავდა: „ახალგაზრდობას განსაკუთრებით ესაჭიროება სიცოცხლის ხალისი და მხნეობა, ჯანსაღი სპორტი — ტანვარჯიში, ცურვა, ექსკურსიები, ყოველი სახის ფიზიკური ვარჯიშობანი, სულიერი ინტერესების მრავალმხრივობა, სწავლება, გარჩევა, კვლევა-ძიება, და ყველაფერი კი შეძლებისდაგვარად ერთად აღებული“. განვითარებული სოციალიზმის პირობებში უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა მოზარდი თაობის ჰარმონიული, ყოველმხრივი აღზრდის პრობლემამ. „ფიზიკური კულტურა, — აღინიშნა XXVI ყრილობაზე, — მოსახლეობის ფართო ფენებისა და განსაკუთრებით ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა შედიოდეს“. მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას კუთვნილი ადგილი დაუთმო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამაც. „სერიოზულად უნდა გარდაიქმნას სპორტკომიტეტის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და საზოგადოებების მუშაობა. თვით პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმაც უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხებს“, — ითქვა საანგარიშო მოხსენებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილებაში კი წამოყენებული იყო წინადადება შემუშავებულიყო ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, „რათა ფიზიკური ვარჯიში, სპორტი და ტურიზმი უახლოეს წლებშივე გახდეს საბჭოთა ადამიანის, მეტადრე ბავშვებისა და ახალგაზრდობის ყოველდღიური მოთხოვნილება“.

როგორც ვხედავთ, არის ხელმძღვანელი ორგანოების სადირექტივო მითითებანი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე, არსებობს საკმაო რაოდენობით სკოლები, არიან მასწავლებლები, რომლებსაც ამ საშუალოს გაძღოლა ეკალთან, არსებობს ჩვენი მოზარდი თაობის ფიზიკური წრთობისათვის საჭირო ბაზა, რომელიც თანდათან სრულყოფილი ხდება, და ასე შემდეგ.

ესე იგი არსებობს ყველა პირობა იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა სასურველი კალაპოტით წარიმართოს; მაგრამ რატომ იყო, რომ მასწავლებელთა ყრილობის პლენარულ თუ სექციურ სხდომებზე გამოსულ ორატორები შეშფოთებით ლაპარაკობდნენ სასკოლო ფიზიკურ აღზრდაში სერიოზულ ხარვეზებზე? რა არის ამის მიზეზი?

მიზეზი ბევრია. მაგრამ დღეს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი მინდა დავასახელო, რომდენადაც სწორედ იგი მიგვაჩნია სასკოლო ფიზიკურ აღზრდაში დღესდღეობით არსებული ხარვეზების მთავარ გამომწვევ პირობად. მხედველობაში გვაქვს უკანასკნელ ხანს ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა ერთი ნაწილის ინერტულობა და გულგრილობა არჩეული პროფესიისადმი. რა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს შესანიშნავი მასწავლებლების მთელი არმია, მაგრამ ზემო აღნიშნული მიდრეკილების მქონე პედაგოგთა რიცხვი იმდენად საგრძნობი გახდა, რომ იგი სასკოლო ფიზიკურ აღზრდაში უკვე ქმნის არასასურველ კლიმატს.

ყრილობის სექციურ სხდომაზე მოიყვანეს ერთი არასასიამოვნო ფაქტი და ჩვენც ამით დავიწყებთ. საშუალო სკოლებიდან დაიწყო ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მასობრივი წასვლა. ამკამად თბილისის სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა 25 საშტატო ერთეული პატრონს ელის. რატომ ტოვებენ ინსტიტუტის კურსდამთავრებულები სკოლას, უკეთილშობილეს საშუშაოს? ჩვენი სპორტის პატრიარქმა გიორგი ფერკვილაძემ ყრილობაზე განაცხადა: „ხშირად პედაგოგების კარგი მუშაობა შეუფასებელი რჩება, უფრო მეტიც, არაკომპეტენტური ორგანიზაციები უარყოფითს შეფასებასაც კი აძლევენ მათს შრომას... ამიტომ სკოლის მასწავლებელი იძულებული ხდება დატოვოს სკოლა და უფრო იოლ საქმეს მოჰკიდოს ხელი“.

უფრო ღრმად ჩავიხედოთ საქმეში. ახლა ფიზკულტურის მასწავლებლობა ნამდვილად გართულდა; მაგრამ ცხოვრების რომელ დარგში არ მოხდა ეს? სირთულეებს კი მხოლოდ სუსტი ნერვების, ნაკლები პასუხისმგებლობისა და არჩეული პროფესიისადმი მოჩვენებითი სიყვარულის მქონე მუშაკები გაურბიან. თქმა არ უნდა, ნამდვილად ძნელია, როდესაც ერთ პატარა სასკოლო სპორტულ დარბაზში ერთდროულად ასაკობრივად განსხვავებული სამი კლასი შედის და ამის მიუხედავად მაინც ითხოვენ მაღალ მეთოდიკურ დონეზე ჩატარდეს გაკვეთილი; ძნელია, როდესაც სკოლის ზოგიერთი ხელმძღვანელი ყურადღების მინიმუმსაც არ ამჟღავნებს ფიზიკური კულტურისადმი და მათთან ხუთმანეთიანი ბურთის შეძენისათვისაც დიდი ბრძოლაა საჭირო. ცხადია, ხასიათი წაგიხდება, როდესაც ჯეროვნად არ დაგიფასებენ. (ყრილობის დელეგატადაც ხომ ფიზკულტურის მასწავლებელთა თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობა იყო არჩეული, სექციური სხდომის 15 მომხსენებლიდან კი არც ერთი არ იყო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი).

მაგრამ ყოველივე ეს იმის საფუძვლად არ გამოდგება, რომ ვიწმენ გაამართლოს თავისი გაქცევა საბრძოლო პოსტიდან.

ჩვენ უფრო ის გვაფიქრებს, რომ იოლი გზებით სიარული და გულგრილობის დამოუპვეელი ნიშნები აშკარად ეტყობათ იმ პედაგოგებსაც, რომელნიც არსად არ „გაობნან“ და ფიზკულტურის მასწავლებლობით ფიქრობენ საშუშაო კარიერის დამთავრებას. მათი გულგრილობა ხშირად სამსახურებრივ დანაშაულამდე მიდის. ყრილობის სექციურ სხდომაზე ასეთი ფაქტის მოყვანა დამჭირდა: ამ 5 წლის წინათ ეროვნულ „მართველში“ დავსვი საკითხი თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის გასვლითი გაკვეთილების მოწყობის შედარებით მეტ დროს, ენერგიას, გულისყურსა და შრომას მოითხოვს; თანაც იზრდება პასუხისმგებლობა, იქ კლდე-ღრეში, ვაითუ მოსწავლეს შეემთხვეს რაიმე. განა უკეთესი არ არის ძველი კალაპოტით სიარული, არც ზედმეტი შრომაა საჭირო და აუტკივარ თავსაც არ აიტკივებ?

ორი წლის წინათ გაზეთ „ლენინის“ საშუალებით მივმართეთ თბილისის სკოლებს გამოეყვანათ მოსწავლეები ტურისტულ ლაშქრობაში. ლაშქრობის სტარტზე მოვიდა ამ ღონისძიების 30 ორგანიზატორი, მილიონიანი ქალაქიდან კი მოვიდა ორი მამაკაცი და ერთი ბავშვი. განა გულს არ მოგიკლავთ თბილისის სკოლების პედაგოგთა ასეთი უნიათობა? ნუთუ იმ განცხადების წამკითხავ არც ერთ პედაგოგს არ დაებადა სურვილი გამოეყვანა მოსწავლეები ბუნების წიაღში და ეზიარებინა ისინი ჯანმრთელობის ბილიკებისათვის?

შემდეგში შევძელით ასიოდე ბავშვისა და ოცი პედაგოგის გაყვანა ლაშქრობაში. ჩვენ გვინდოდა ლაშქრობის ერთ-ერთ ლაგაზ ადგილას — წყაროსთან გვესაუბრა პედაგოგებთან ითქვა, თუ რა მარშრუტით გამოეყვანათ შემდგომში დამოუკიდებლად ბავშვები ტურისტულ ლაშქრობაში. მივედით წყაროსთან, (ოტა გვიან მოვიდა რამდენიმე მოსწავლე და ერთი მასწავლებელი. დანარჩენ მასწავლებლებს გზა შეუმოკლებიათ და მოსწავლეებთან ერთად... შუა გზიდან გაბარულან. დასკვნის ნაგლეგანა მკითხველისთვის მიგვინდია.

მე ვიცი ფიზკულტურის მასწავლებლები, რომლებიც სულაც არ წუხან სასკოლო ბაზების სიმცირის ან მოუწყობლობის გამო (ბაზა არ არის, პასუხისმგებლობისგანაც თავისუფალი ვარო! — ასეთია მათი ლოგიკა), მაგრამ განა ვინც კეთილშობილად არის დაინტერესებული სავარჯიშო ბაზის მოწყობით, პირველსავე დაბრკოლებაზე მხრებს ჩამოყრის და კარგავს ბრძოლის უნარს?

განა ოტა სიძნელის გადალახვა მოუნდათ მესტიელ პედაგოგებს, კომკავშირელებს, რომლებსაც სათავეში ჩაუდგა ყველა ჩვენგანისთვის დაუვიწყარი ბორის კახიანი და რამდენიმე სოფელში ისეთი კომპლექსური სპორტული ნაგებობანი აღმართეს, რომ დიდ ქალაქებსაც კი დაამშვენებდა?! არც ამაკი რაიონის პედაგოგ გაიოზ ჩართოლანს დასჭირდა ნაკლები ჯაფა — ყოველგვარი სახსრების გარეშე, საკუთარი ძალებით მან ძიუ-დოს შესანიშნავი დარბაზი ააშენა და მესტია ძიუ-დოს ერთ-ერთ რესპუბლიკურ ცენტრად აქცია; განა იოლი იყო თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის ელგუჯა ლანჩხავასათვის საკუთარი ძალებით ტირისა და სხვა ბაზების ისე მოწყობა, რომ სოფლის სკოლების სპორტული ბაზების საკავშირო დათვალიერებაში ჭოგნარის სკოლას პირველი ადგილი დაეკავებინა?

მასწავლებელთა ყრილობაზე განზოგადდა ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ ხანს დანერგილი სიახლენი სკოლებში თვითნაკეთი სპორტული ინვენტარის მასობრივი გამოყენების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენი პედაგოგები არც აქ იჩენენ რაიმე ინიციატივას. მათ ენთუზიაზმს კი ხშირად ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები ხშირად დანაშაულებრივად აგვიანებენ სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობას.

დიდი წვალების შემდეგ ბევრგან კეთდება საქმე — შენდება სასკოლო აუზი, მაგრამ ერთი პრობლემური საკითხის გამო ბავშვები მაინც მოკლებულნი არიან ცურვის სწავლების საშუალებას: თბილისის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგური არ იძლევა მისი წყლით ავსებისა. ეს ფაქტი ქალაქის ბიუროში არ გააზავეს ქლორირისა. ეს ფაქტი ქლორის მოყვანა დამჭირდა: ამ 5 წლის წინათ ჟურნალ „მართველში“ დავსვი საკითხი თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის გასვლითი გაკვეთილების მოწყობის შედარებით მეტ დროს, ენერგიას, გულისყურსა და შრომას მოითხოვს; თანაც იზრდება პასუხისმგებლობა, იქ კლდე-ღრეში, ვაითუ მოსწავლეს შეემთხვეს რაიმე. განა უკეთესი არ არის ძველი კალაპოტით სიარული, არც ზედმეტი შრომაა საჭირო და აუტკივარ თავსაც არ აიტკივებ?

ორი წლის წინათ გაზეთ „ლენინის“ საშუალებით მივმართეთ თბილისის სკოლებს გამოეყვანათ მოსწავლეები ტურისტულ ლაშქრობაში. ლაშქრობის სტარტზე მოვიდა ამ ღონისძიების 30 ორგანიზატორი, მილიონიანი ქალაქიდან კი მოვიდა ორი მამაკაცი და ერთი ბავშვი. განა გულს არ მოგიკლავთ თბილისის სკოლების პედაგოგთა ასეთი უნიათობა? ნუთუ იმ განცხადების წამკითხავ არც ერთ პედაგოგს არ დაებადა სურვილი გამოეყვანა მოსწავლეები ბუნების წიაღში და ეზიარებინა ისინი ჯანმრთელობის ბილიკებისათვის?

ეს ფაქტი ფიზკულტურის მასწავლებლებმა ერთხმად ასეთი ფაქტია, — აღინიშნა ყრილობაზე. ერთმა დელეგატმა განმარტა: ეს იმიტომ ხდება, რომ „ძალზე ცოტა ფიზკულტურის მასწავლებელი ჭილდოდება განათლების სამინისტროს საპატიო წოდებებით“. ძნელია დაეთანხმო ამ აზრს. ამ მიზეზით, ნამდვილი პედაგოგი საყვარელ საქმეს არ მიატოვებს. მთავარი ის არის, რომ ბევრი მათგანი სიძნელეებს ერიდება და იოლ გზას ირჩევს. ასეთ პედაგოგს არც უნდა ჩაებღაუჭო. დაე, წავიდეს! სასკოლო ფიზიკური აღზრდა მხოლოდ ისეთ მასწავლებლებს უნდა ებაროს, რომელთა მორალის უხილავ დაფაზეც სამი სიტყვაა დაწერილი: „საქმეს სიყვარულით ვემსახურო!“

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მართვისა და ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი.

„პარტიული სიტყვა“ № 3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი **„პარტიული სიტყვა № 3.**

რუბრიკით — დისციპლინა ყველა სიკეთის სათავეა ჟურნალი ბეჭდავს ვ. ლომაძის წერილს „ჩვენი პატიოსნება, ჩვენი ღირსება“, მხარი-მხარს — ამ რუბრიკით დაბეჭდილია ბ. გულიაშვილის წერილი „ძალაც შეგვწევდეს ქადილისა!“ ჟურნალი აქვეყნებს წერილებს: დ. იასაშვილის — „ბარი — ნათლად, სათქმელი — ცოცხლად“ (აფხაზეთის აგიტატორთა მეორე შეკრებაზე); რ. ძერიას — „არა მარტო სად, როდის, რა“ ანუ რა ფიქრებს აღძრავს თეიმურაზ მამალაძის წიგნი „შენ ხარ ვენახი“; ჯ. ჯიშკარიანის — „მისი ტკივილი და სიყვარული“, კ. კობერიძის — „ისევ კახეთის მატარებელზე... ანუ ღია წერილი ჩვენი რკინიგზის მესვეურთ“; რუბრიკით — განვეწყოთ საქმისათვის, დაბეჭდილია „ჩვენი დიადი ოჯახი დღეს“ (როგორ ვიაუბროთ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის დოკუმენტებსა და მასალებზე); ჟურნალს აქვს განყოფილებები „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ“, „ამ ტრიალ ქვეყანაზე“ და სხვ.

● ნიკარაგუა

მზადდება აგრესია

ბოგოტა. ნიკარაგუის რევოლუციამ პირველი დღეებიდანვე იმპერიალიზმის იმ ცდების ობიექტია, რომლებიც მიზნად ისახავს სანდინისტური მთავრობის დამხობას, ქვეყანაში მიმდინარე პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროცესისათვის ძირის გამოთხრას. ეს განაცხადა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, ნიკარაგუის შინაგან საქმეთა მინისტრმა თომას ბორხემ.

აქაურ ჟურნალ „სემანასათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ცდილობს რესპუბლიკა ეკონომიკური აგრესიის მარწუხებში მოაქციოს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი გვითხრა იხდუტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო მოწყობილობისა და სამრეწველო მასალების მოწოდებაზე. ჩვენ გვემუქრებიან, შანტაჟს გვიწევენ, ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ სომოსელთა კონტრრევოლუციურ ბანდებს. იმპერიალიზმი, ხაზგასმით აღნიშნა თ. ბორხემ, მუდამ დაეინებით ცდილობს არ დაუშვას პროგრესული გარდაქნები მსოფლიოში. ჩვენს წინააღმდეგ იგი იყენებს იმავე საშუალებებს, რომელსაც იყენებს რევოლუციური კუბის, მოზამბიკის, ანგოლისა ან ავღანეთის წინააღმდეგ.

რომი. ნიკარაგუას მონდურასის ტერიტორიიდან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის საფრთხე ემუქრება, წერს იტალიის გაზეთ „რეპუბლიკაში“ ცნობილი კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში გაბრიელ გარსია მარკესი. აგრესიის საფრთხე, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, რეალური და მუდმივია, და თუ სამხედრო შეჭრა აქამდე არ განხორციელდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკის ადმინისტრაციის სხვადასხვა წრეები ვერ შეთანხმდნენ როდის და როგორ განახორციელონ იგი.

ფაქტები მოწმობს, ხაზს უსვამს კოლუმბიელი მწერალი, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ნიკარაგუის წინააღმდეგ ამზადებს ფართო აგრესიას, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყოფილ დიქტატორ სომოსას მომხრეებმა, სხვადასხვა ქვეყნის დაქირავებულებმა, აგრეთვე ჩილელმა და ისრაელმა სამხედრო „მრჩევლებმა“.

გარდაიცვალა ვ. როშე

პარიზი. ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 77 წლისა გარდაიცვალა საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ვალდეკ როშე.

1964-1972 წლებში ვ. როშე იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ხოლო 1972 წელს იგი საფრანგეთის კომპარტიის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს.

ალარ გვყავს პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელი, პატრიოტი, ერისკაცი და სახელმწიფო მოღვაწე, ნათქვამია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გენერალურ დადგენილებაში, რომელიც გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვ. როშემ დიდი წვლილი შეიტანა სოციალური პროგრესის, დემოკრატიის, მშვიდობისათვის მებრძოლი სახალხო ძალების კავშირის ჩამოყალიბებას.

აფართოებენ სამხედრო პროვოკაციებს

ბეირუთი. ისრაელი აგრესორები აფართოებენ ლიბანში სამხედრო პროვოკაციების მასშტაბს. ოკუპანტებმა ბაალბადში პრეზიდენტის სასახლის რაიონში ხელთ იგდეს ჰოსპიტალი და იქ თავიანთი სამხედრო საგუშაგო მოაწყვეს. ისრაელი ჯარისკაცები შეიჭრნენ აგრეთვე ჰალდის სატელეფონო კვანძის შენობაში, იმუქრებოდნენ იარაღით, გაყარეს ყველა იქ მყოფი მოსამსახურე. დამურის ხიდის მახლობლად ისრაელები მოულოდნელად თავს დაესხნენ ლიბანის არმიის საგუშაგოს, განაიარაღეს იგი, შემდეგ კი იარაღი წაართვეს ბეირუთისა და ტირის მიმართულებით მიმავალ ლიბანის არმიის ჯარისკაცებს.

ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანში ისრაელის მხედრიონმა გაძალიერა მშვიდობიანი მოსახლეობის ჩხრეკა-დაპატიმრების კამპანია.

ამავე დროს გრძელდება ისრაელის ჯარების კონცენტრაცია აღმოსავლეთ ლიბანის ბექაას ხეობაში. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ოკუპანტები ამ რაიონში თავს უყრიან დიდძალ ტანკებსა და სხვა საბრძოლო ტექნიკას.

ქვეყნის სამხრეთში გააქტიურდა მაიორ ჰადადის სეპარატისტთა საქმიანობა. სეპარატისტთა ქვეგანაყოფები შეეიდნენ საიდანში და ამით გაიფართოვეს თავიანთი საკონტროლო ანკლავის ზონა.

აგრესორთა ტერორსა და რეპრესიებს საკადრის პასუხს აძლევენ ლიბანელი პატრიოტები. როგორც გაზეთი „ალ-ლივა“ იუწყება, 14 თებერვალს წინააღმდეგობის მებრძოლებმა წარმატებული ოპერაცია მოაწყვეს ოკუპანტთა წინააღმდეგ დორის რაიონში, რომლის შედეგად დაიხოცა და დაიჭრა რამდენიმე ისრაელი ჯარისკაცი.

დამასკო. სირიის გაზეთი „ასსაურა“ ისრაელის საომარ მზადებას ლიბან-სირიის საზღვრის რაიონში უკავშირებს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ემისრის ჰაბიბის დაბრუნებას. ისრაელის ჯარების თავმოყრა ბექააში, ტანკებისა და არტილერიის ახალი პოზიციების შექმნა ჯებელ ალ-ბარუკში, წერს იგი, მოწმობს, რომ ტელ-ავივს სირიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქვს აგრესია. ისრაელ ექსპანსიონისტთა ეს ახალი ნაბიჯი, აღნიშნავს „ას-საურა“, მზადდება თეთრი სახლის თანხმობით.

● ჩრდ. ირლანდია

რეპრესიებს ესკალაცია

ლონდონი. ჩრდილოეთ ირლანდიის ადმინისტრაციულ ცენტრში — ბელფასტში დაიწყო დიდი ჩხრეკა-დაპატიმრებები. ოლსტერის სამეფო პოლიციის, ეგრეთ წოდებული ინგლისის „უშიშროების ძალებში“ შემავალი სხვა ქვეგანაყოფების დიდმა რაზმებმა გაჩხრიკეს ქალაქის ბევრი უბანი და დაპატიმრეს 30-ზე მეტი კაცი. როგორც იუწყებიან, ოპერაცია ხორციელდებოდა „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ სტანდარტული საბაბით.

ლონდონის პრესა აღნიშნავს, რომ ბელფასტში დაპატიმრებების ეს სერია მორიგი ნაბიჯია, რომელიც გადაიდგა ოლსტერში რეპრესიების კამპანიის ფარგლებში — ბრიტანეთის ხელისუფალნი ჩრდილოეთ ირლანდიელთა უკმაყოფილებას უპასუხებენ ლონდონის მიერ რეპრესიების ესკალაციის „პირდაპირი მართვით“.

გაზეთები წერენ, რომ დაახლოებით ორი კვირის წინათ მ. ტეტჩერის კაბინეტის გადწყვეტილებით გაიზარდა ოლსტერის სამეფო პოლიციის რიცხვი.

როგორც არაერთგზის აღუნიშნავს ინგლისისა და ჩრდილოეთ ირლანდიის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას, პოლიციელთა „ხელკეტების“ პოლიტიკა იწვევს მხოლოდ დაძაბულობის მეტ გამწვავებას შეერთებული სამეფოს ამ ნაწილში. ამგვარი კურსი, წერს ყოველკვირეულ „იუნიტში“ ირლანდიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ჯ. სტიუარტი, განწირულია ჩასაფუშავად. ჩრდილოეთ ირლანდიის კრიზისის მოწესრიგებისათვის, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, საჭიროა კონსერვატორთა მთავრობამ შეწყვიტოს ოლსტერის საარსებო სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების უგულებელყოფა, ხელი აიღოს ჩრდილოეთ ირლანდიაში ადამიანის უფლებათა დარღვევის პოლიტიკაზე, მისცეს მის მოსახლეობას საშუალება, რომ თვითონ წყვეტდეს თავის ბედს.

● ალჟირი

ი. არაფატის გამოსვლა

ალჟირი. პალესტინის ეროვნული საბჭოს აქ მიმდინარე მეოთქვსმეტე სხდომაზე გამოვიდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე ი. არაფატი.

„სწორედ შეერთებულმა შტატებმა, განაცხადა მან, რომელიც მხარს უჭერს ისრაელის ყოველ აგრესიას არაბი ხალხების წინააღმდეგ, ახლო აღმოსავლეთი გადაქცია ხუთი ომის ასპარეზად. ლიბანის წინააღმდეგ უკანასკნელი ინტერვენციის შედეგად დაიხოცა და დაიჭრა 72 ათასი პალესტინელი და ლიბანელი, საბრასა და შათილში ხუთი ათასი. მსხვერპლის ბარდა“. ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მიზანი ის არის, ხაზგასმით აღნიშნა ი. არაფატმა, რომ „მთელი არაბული სამყარო ჩაითრიოს კემპ-დევიდის მორევში, დაიჩოქოს არაბი ხალხები ისრაელი აგრესორის წინაშე“.

„ჩვენ, — აღნიშნა შემდეგ პალესტინის ხელმძღვანელმა, — ვიბრძვით ეროვნული ღირსებისათვის, უგულებელყოფთ ჩვენი ხელშეუვალი უფლებების ყოველგვარ ხელყოფას. ვაცხადებთ, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა და სტაბილურობა ვერ დამყარდება მანამ, სანამ არ გადაიჭრება პალესტინის პრობლემა. ჩვენ ვიბრძვით საერთაშორისო კანონიერებაზე დაფუძნებული მშვიდობისათვის, რომელიც ითვალისწინებს პალესტინელი ხალხის ისეთი უფლებების განხორციელებას, როგორიცაა თვითგამორკვევა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. რაც შეეხება ჩვენს არჩევანს მომავ იორდანიის ხალხთან კონფედერაციის სასარგებლოდ, იგი გამოხატავს საყოველთაო არაბული ერთიანობის ურყევ რწმენას“.

ი. არაფატმა უდიდესი მადლობა გადაუხადა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირს, აგრეთვე მიუმხრობელ სახელმწიფოებს პალესტინელთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერისათვის.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

დელი

სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარება ინდოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითადი ამოცანაა, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ.

ქვეყნის მთავრობა თანმიმდევრულად ადგას მეცნიერული კვლევის გაფართოების კურსს. ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე სახელმწიფოს ყოველწლიური ასიგნება ამ მიზნებისათვის გაიზარდა 15-ჯერ და მეტად.

ტოკიო

ქალაქ ნაგოიაში (ნიგატის პრეფექტურა) გამართული მასობრივი მიტინგის მონაწილეებმა ხოთხოვეს პარლამენტის დეპუტატობის მანდატი ჩამოერთვას იაპონიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს კ. ტანაკას. მიტინგი მოაწყვეს იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ და პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოთხოვნა ბოლო მიღოს კორუფციას მმართველ ლიბერალურ- დემოკრატიულ პარტიაში. როგორც ცნობილია, ტანაკა დიდ ძალ ქრთამს იღებდა ამერიკის ავიასაშენებელ კონცერნ „ლოკიდისგან“.

ლუანდა

აქ გამართულ ეროვნული საგეგმო კომისიის სხდომაზე განიხილეს ანგოლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის საგანგებო გეგმა.

როგორც ანგოლის პრესა აღნიშნავს, ასეთი გეგმის მიღების საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ არ წყდება იმპერიალისტური ძალების და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდის რეჟიმის ცდები შეარყიონ მდგომარეობა ანგოლის სახალხო რესპუბლიკასა და სამხრეთ აფრიკის სხვა სახელმწიფოებში, აიძულონ ანგოლელი ხალხი უოლატოს ახალი საზოგადოების მშენებლობის არჩეულ გზას.

კონსტრუქციული და რეალისტური მოწესრიგებისათვის

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის განცხადება

ქაბული. 1978 წლის აპრილის ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და მთელმა ავღანელმა ხალხმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ ააშენონ ახალი ცხოვრება ქვეყანაში, მშვიდობის პირობებში, თავის მეზობლებთან, ისლამურ სახელმწიფოებთან და ყველა სხვა, მათ მორის მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში, დაადგნენ პროგრესისა და აყვავების გზას. ეს განაცხადა ბახთარის საგენტოს (ორგანიზაციის) კითხვაზე გაცემულ პასუხში, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, თქვა მან შემდეგ, კვლავ მტკიცედ სწამს, რომ ავღანეთის მდგომარეობის გარშემო შექმნილი ყველა პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი გახდება მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით, დაინტერესებული ქვეყნების მთავრობათა მოლაპარაკების შედეგად. ამ რწმენის საფუძველზე, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1980 წლის 14 მაისსა და 1981 წლის 24 აგვისტოს წამოაყენა წინადადებანი, რომელთა მიზანია არსებული პრობლემების მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტა.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კვლავ მზმრეა პრაქტიკული, მოქნილი და რეალისტური მიდგომისა, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნულ წინადადებებში, მშვიდობიანი თანაარსებობის, აქტიური და პოზიტიური მიუმხრობლობის ძირითადი პრინციპების, ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან კეთილი ურთიერთობის შესაბამისად.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კვლავაც ყოველმხრივ და კონსტრუქციულად დაუჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეცადინეობას ანონშნულ წინადადებათა საფუძველზე და გამოთქვამს იმედს, რომ ეს პროცესი თვისებრივად წინ წასწევს პოლიტიკური მოწესრიგების საქმეს.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და ავღანელ ხალხს მიაჩნიათ, რომ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა მე-7 კონფერენციამ, რომელიც გაიმართება დელში მიმდინარე წლის მარტში, განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და პროგრესის ძალების პოზიციის განმტკიცების საქმეში.

ამ კონფერენციის წინ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კვლავ ადასტურებს, რომ მზად არის უშუალო შოლაპარაკება გამართოს პაკისტანისა და ირანის მთავრობის წარმომადგენლებთან ყოველგვარ დონეზე, ნებისმიერ დათქმულ ადგილს ავღანეთის გარშემო არსებული ვითარების ყველა საკითხის თაობაზე სერიოზული და კონსტრუქციული განხილვისათვის. იგი დარწმუნებულია, რომ ასეთი პირდაპირი მოლაპარაკება არსებით წვლილს შეიტანს ავღანეთის გარშემო შექმნილი ვითარების სერიოზულ, კონსტრუქციულ და რეალისტური მოწესრიგების მიღწევის საქმეში.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გულწრფელად არის დარწმუნებული, რომ ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს მიუმხრობლობის მოძრაობა და მას კონსტრუქციულად მიუდგება პაკისტანი და ირანი.

ფიჯი

**18,3 ათასი კვადრატული კილომეტრი საერთო ფართობის 332 კუნძული შეადგენს ფიჯის სახელმწიფოს, რომელიც წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ეკვატორის სამხრეთ მხარეს მუდმივი ზაფხულის სიგანეებზე მდებარეობს. ა. ტასმანისა და ჯ. კუკის მიერ ოკეანის ამ თვალწარმტაცი კუთხის აღმოჩენიდან და იქ ბრიტანეთის ბატონობის დამყარებიდან ძალიან დიდი დრო გავიდა, სანამ ფიჯი დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგებოდა. არსებითად ფიჯი მეტროპოლიის აგრარულ დანამატად იყო გადაქცეული. დამოუკიდებლობამ ქვეყანას სამეურნეო ზრდის სტიმული მისც

თეატრი ელის თავის ჭერს და თავის ქალაქს

„ბევრინტერესებს, როდის დაგვიბრუნდება ჩვენი თეატრი? სახელი კი რუსთავის ჰქვია, მაგრამ ადგილ უკვე ხუთი წელია თბილისში ბინადრობს. დედაქალაქელები თავიანთი სახელმოხვეჭილი თეატრების სპექტაკლებისაგან იხედაც განებივრებულები არიან, ჩვენ კი.... გვინატრება ჩვენი თეატრი!" — გავწერეს მეტალურგთა ქალაქიდან.

„კომუნისტის" რედაქციამ მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ მოიწვია ის ადამიანები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან რუსთავის თეატრის შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოებთან. ამ დიალოგში მონაწილეობდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულაძე, მისი მოადგილეები შ. ბარბაკაძე და ვ. კობახიძე, რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ბ. იასაშვილი, მთავარი რეჟისორი ა. ჟუთათელაძე, არქიტექტორი ა. ჩხეიპაძე, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მეეკვსე სამმართველოს უფროსი დ. ცერცვაძე. საუბარს უძღვებოდა გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ჯ. ჟურხული. ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ამ დიალოგს და, ვიმედოვნებთ, ამით გარკვეულ პასუხს ვაძლევთ რუსთაველ მაყურებლებს.

კორესპონდენტი: როგორც ცნობილია, რუსთავში ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გაიხსნა სახელმწიფო დრამატული თეატრი. ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში და დიდი მოვლენა მეტალურგთა ქალაქისათვის. მარჯანიშვილის თეატრიდან რუსთავში გადასულმა ძირითადად ახალგაზრდა მსახიობთა ერთმა ჯგუფმა რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით საფუძველი დაუდეს ახალ თეატრს, რომელმაც მოკლე ხანში დიდი ავტორიტეტი და სახელი მოიხვეჭა.

ა. ჟუთათელაძე: გავიხსენოთ, რომ მაშინ იმ დასში იყვნენ ო. მელვინეთუხუცესი და ნ. მგალობლიშვილი, გ. ბერიკაშვილი და ი. უჩანეიშვილი, თ. არჩვაძე და გ. სიხარულიძე, ლ. შოთაძე, ჯ. გაგნიძე, ჯ. მაზიაშვილი... ნიჭიერ მსახიობთა ეს კრებული ნებისმიერ სცენას დაამშვენებდა. რუსთავის ახალბედა თეატრმა პირველი დღეებიდანვე საქმიანი შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო. ზედიზედ მშვენიერი სპექტაკლები წარმოადგინეს, რომლებიც ძალიან გახმაურდა თეატრალურ სამყაროში: როსტანის „ციანრნო დე ბერჟერაკი", კროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ" და „ფიროსმანი", გორკის „ფსკერზე", მაიაკოვსკის „ბანიო", დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა" და სხვა სპექტაკლები, რომელთა უმეტესობა თვითონ გ. ლორთქიფანიძემ დადგა. ამ რეჟისორთან ერთად ილეწოდნენ ი. კაკულია, ნ. გაჩავა, გ. ანთაძე. ერთი სიტყვით, ეს იყო თავისთავადი და საინტერესო თეატრი. მისმა სპექტაკლებმა მოიპოვა მაყურებელთა სიყვარული, საეციალისტთა მაღალი შეფასება, რესპუბლიკური თუ საკავშირო პრესის აღიარება. რუსთავის თეატრი საუკეთესო თეატრთა შორის დადგა. მის ცხოვრებაში წარმატებული გამოდგა გასტროლები მოსკოვში 1969 წელს და უნგრეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 1974 წელს.

გ. იასაშვილი: მაგრამ თეატრის ცხოვრებაში მტკივნეული იყო 1975 წელი, როცა წამყვან მსახიობთა ჯგუფი კვლავ მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა. მეტალურგთა ქალაქის თეატრი ყოფნა-არყოფნის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ გადარჩა. ამაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ლ. შოთაძემ, ლ. ფილფანმა, რუსპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ჯ. გაგნიძემ, ჯ. მაზიაშვილმა, თ. დაუშვილმა, ო. სეთურიძემ, ე. სახარულიძემ, შ. სხირტლაძემ, რეჟისორმა თ. მესხმა და, რა თქმა უნდა, მთავარმა რეჟისორმა ა. ქუთათელაძემ, რომელმაც შეძინა ახალგაზრდების გამოცდილებთან შედუღაბება და ამით ანალი სასიცოცხლო ძალა შთაბერა თეატრს. მის ხანმოკლე, მაგრამ მდიდრულ მატიანეს ახალი მშვენიერი სპექტაკლები შეემატა: რ. როლანის „მგლები", რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი", გოგოლის „რევიზორი", ჩეხოვის „თოლია", ედუარდო დე ფილიპოს „ციელდრინა", კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძე". შარშან ივნისში რუსთავის თეატრი მოსკოვში იმყოფებოდა საგასტროლოდ. მისმა სპექტაკლებმა დედაქალაქის თეატრის მოყვარულთა მოწონება დაიმსახურა. ცენტრალურმა გაზეთებმა „პრავდამ", „იზვესტიამ" და „სოვეტსკაია კულტურამ" მაღალი შეფასება მისცეს თეატრის შემოქმედებითი საქმე იყო. მერე თეატრის შენობა დაიხურა იმიტომ, რომ კომუნიკაციები შაღლა გადიოდა, სცენა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო თავისი მექანიზაციით და მხატვრული განთავებით. ყველაფერი ერთობ პრიმიტიული მოწყობილი ჩანდა და დადგმებს ხელს უშლიდა. ყოველივე ამასთან ერთად ხანძარსაწინააღმდეგო პირობებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური რჩეკით, აქ სპექტაკლების გამართვა აიკრძალა.

სტანისლავსკი ამობს: თეატრი გარდერობიდან იწყებაო. თეატრს კი გარდერობი თითქმის არ ჰქონდა. არც ვესტიბიული ვარგოდა. ახლა ყველაფერი ისე კეთდება, რომ მუშათა ქალაქის თეატრი ყველაფრით საუკეთესო თეატრთა შორის იქნება.

კორესპონდენტი: თეატრი რომ საშვილიშვილოდ კეთდება, ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც რეკონსტრუქციით გათვალისწინებულ და უკვე გაკეთებულ საქმეს გაეცნობა. ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ „ფოხს უკვე გიჭვიდით" და თეატრი მალე თავის სახლს დაუბრუნდება, მაგრამ მაინც როდის? რუსთაველებს აწუხებთ ამდენ ხანს უთეატროდ ყოფნა.

ბ. იასაშვილი: რას ვიზამთ... სამუშაოების მოცულობის გაზრდამ საქმე რამდენადმე გაახანგრძლივა, ჩვენც თბილისს საკმაოდ დიდხანს შევრჩით ხიზნებად. მაგრამ ვვიხარია რომ პროექტი კარგია და მალე დიდებული თეატრი გვექნება.

დ. ცერცვაძე: ახლა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ დროულად დავამთავროთ ეს კარგი საქმე. აქ ითქვა, რომ სამშენებლო საქმე სამჯერ გაიზარდაო. მშენებელს საქმისა არ ეშინია, თუ საჭირო მასალებით ხელი დროულად გაეგმართება. ქვემოიჯარე ორგანიზაციებიდან ზოგჯერ ლაატის მაგალითები იყო. არ გვინდა ახლა გული ვინმეს ვატკინოთ და გავიხსენოთ. მით უმეტეს, როცა საქმე კეთილად გვირგვინდება, მათი შრომა კი ჯერ გვჭირდება და თუნდაც ამიტომ არ „ვაწყენინებთ".

ბ. იასაშვილი: ჩვენ ვიცით იმის მაგალითები, რომ შენობა საეკლესიატაციოდ გადაეცემა, მშენებელთა თუ სხვათა დაუდევრობით დაშვებული შეცდომები კი მერე იჩენს ხოლმე თავს. დარწმუნებული ვარო, რომ ისეთი ავტორიტეტული სამშენებლო ორგანიზაცია, როგორიც მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მეეკვსე სამმართველოა, თავს არ შეირცხვენს და ისეთ შენობას ჩაგვაბარებს, რომელშიც შევძლებთ ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის გაშლას.

ა. ჩხეიპაძე: ერთ ჭეშმარიტებასაც ნუ დავივიწყებთ. ჩვენ მიერ შედგენილი რეკონსტრუქციის პროექტი იმდენად ართულებდა სამუშაოს, იმდენად ბევრი რამ ჩანდა გასაკეთებელი, რომ არხეინი და მხოლოდ დღევანდელობით მცხოვრები კაცი მას ხელს არ მოჰკიდებდა. მეტალურგიული ქარხნის დირექტორს ო. სულაძეს კი, როგორც დამკვეთს, ერთი რამ აინტერესებდა: თეატრის შენობა ისეთი ყოფილიყო, როგორც რუსთავს, ამ შესანიშნავ მუშათა ქალაქს ეკადრება. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მშენებლობის მინისტრის მოადგილე კ. გოგიჩაიშვილი. ეს ორი კაცი ყოველი კვირის ხუთშაბათობით ოპერატიულ თათბირებს ხელმძღვანელობს, სადაც საქმიან ატმოსფეროში განიხილავენ რეკონსტრუქციისათვის საჭირო ყოველ წვრილმანს.

ბ. იასაშვილი: როცა ოპერატიულ თათბირებზე განვიხილავთ იმ სამუშაოებს, რომლებიც მხოლოდ თეატრის სპეციფიკით არის გათვალისწინებული, ო. სულაძე თეატრის ხელმძღვანელობის აზრს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

შ. ბარბაკაძე: ჩვენ, როგორც დამკვეთნი, ვზრუნავთ შენობის აღჭურვილობის სამუშაოებ ის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

ვ. კობახიძე: ახლა საქმე თითქოს კარგად მიდის, მაგრამ ამთავითვე უნდა დროულად ვიზრუნოთ თეატრის აღჭურვილობისა და მხატვრული გაფორმების საკითხზე. ამ სფეროს ხელმძღვანელობს კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელოსნო. მისი თავკაცია მხატვარი ნ. ერგემლიძე. ვფიქრობთ, სახელოსნო არ დაგვიაღალატებს...

დ. ცერცვაძე: ჩვენ, მშენებლები, ამ ზაფხულს მთლიანად მოვრჩებით კულტურის სასახლის თეატრის შენობად გადაქცევის სამუშაოებს...

ა. ჩხეიპაძე: ისიც გავითვალისწინოთ, რომ თეატრის მხატვრული გაფორმება ერთობ ფაქიზი სამუშაოა. მოითხოვს დიდი რუდუნებით შრომას. ნ. ერგემლიძე როგორც პიროვნება და შემოქმედი მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ საქმეს.

ბ. იასაშვილი: პატივცემულ არჩილს ვეთანხმები, ყველა შემოქმედებითი შრომა ფაქიზია და დიდ ენერგიას, ნიჭსა და დროს მოითხოვს. იმედი მაქვს, ნ. ერგემლიძე, როგორც შემოქმედი, ყოველთვის შემოქმედების ერთგული იქნება.

კორესპონდენტი: ჩვენ ყველანი მიეხვდით, თუ რისი თქმა უნდოდა პატივცემულ გაიოზს. ყველა შემოქმედებითი შრომა ენერგიას, ნიჭსა და დროს მოითხოვს. ეს განსაკუთრებით თეატრზე ითქმის. ცხადია, თუ თეატრის შენობა ივნისში იქნება მზად, რუსთაველები ახალ სეზონს უქვე თავიანთ ქალაქში გახსნიან, რაც მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის მშრომელებს დიდ სიხარულს მოუტანს.

ეძღვნება გეორგი-ევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

მხატვართა ოჯახი

სწორედ რომ უპრიანია ასე ვუწოდოთ მეტრეველების ოჯახს. რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები მარგალიტა და შოთა მეტრეველები რამდენიმე ათეული წელია ნაყოფიერად მოღვაწეობენ ფერწერაში. წერის რეალისტური მანერითა და გემოვნებით შესრულებულ მათს ნამუშევრებს კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მშობლების კვალს მიჰყვება მათი ვაჟი მერაბიც.

ამჟამად მეტრეველების ოჯახი მუშაობს თემატურ სერიაზე, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს. ზემო სურათზე ხედავთ მარგალიტა მეტრეველის ფერწერულ ტილოს „პუშკინი თბილისში", მეორე ფოტოზე აღბეჭდილია შერაბ მეტრეველი ერეკლე მეორის მისეულ ქანდაკებასთან, რომელსაც ეწოდა „განთიადის ნინამორბედი". „მეგობრული მისიით" — ასე დაასათაურა შოთა მეტრეველმა თავისი ნამუშევარი (მესამე ფოტო), რომელზეც გამოსახულია სიღნაღის გალავნის ფონზე მეფე ერეკლე მეორე რუს სარდლებთან ერთად.



მ. კვირიკაშვილის ფოტო.

რეჟისორის შემოქმედებითი საღამო

რვა წლის წინათ, როცა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მივიდა, საკმაოდ უჭირდა შემოქმედებით კოლექტივს. უბრალოდ იმიტომ, რომ მსახიობების საგრძნობმა ნაწილმა სხვა თეატრში გადაინაცვლა, დადგმები შემცირდა და, ამდენად, გაღარიბდა რეპერტუარიც. მოვიდა თუ არა თეატრში, რეჟისორი მთელი ენერგიით, შემოქმედებითი ენთუზიაზმით ჩაუდგა მას საქმეში.

უდავოდ ეს ფაქტი ჰქონდა მხედველობაში სსრ კავშირის სახალხო არტისტს, რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძეს, როცა ა. ქუთათელაძის შემოქმედებითს საღამოზე მოწკეულთან ამცნო, ა. ქუთათელაძეს განებივრებული რეჟისორის გზა არ გაუვლიაო.

დღეს, როცა რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითს წარმატებებზე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კვლავ ალაპარაკდნენ, ეს ჭეშმარიტად მთავარი რეჟისორის ა. ქუთათელაძის დამსახურებაც გახლავთ.

ა. ქუთათელაძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა მისი დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, რეჟისორის ანგარიში იყო მაყურებლების, მისი ხელოვნების პატივისმცემლების წინაშე. მათ ერთხელ კიდევ გადაავლეს თვალი რეჟისორის შემოქმედების გზას. რუსთავის თეატრის მსახიობებმა მაყურებლებს წარმოუდგინეს ა. ქუთათელაძის დადგმული სპექტაკლების სცენები, სტილიზებული წარმოდგენებით კი მათ მაყურებლებს გააცნეს რეჟისორის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ფრაგმენტები.

რუსთავის თეატრამდე ხელოვანმა საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. ჯერ კიდევ სტუდენტმა, სოხუმის სახელმწიფო თეატრში დადგა სადიპლომო სპექტაკლი — რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი?" შემდეგ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გადმოვიდა. აქ ახალგაზრდა რეჟისორმა კარგი სკოლა გაიარა —სცენის დიდოსტატებთან ვ. ანჯაპარიძესთან, ს. თაყაიშვილთან, ვ. ყუშიტაშვილთან, გ. ლორთქიფანიძესთან, ლ. იოსელიანთან ერთად. ეროვნული ხელოვნების საიდუმლოებებს და მაღე დამოუკიდებელი ნაბიჯებით საზოგადოებრივ ბ ი ს ყურადღებაც მიიქცია.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან უნდა აღინიშნოს მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი", გ. ხუხაშვილის „მოსამართლე", ა. ალაძის „შაფთვალა გოგონა", რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი", ნ. პერიალისის „ბებთიანი გოგონა".

1964-1967 წლებში ა. ქუთათელაძე სოხუმის თეატრის ქართული დასის მთავარი რეჟისორი იყო.

რუსთავის თეატრის სცენაზე მთელი სისავსით გამოჩნდა რეჟისორის პოზიცია. მსახიობთა მონაცემების სწორი განაწილების შედეგად იგი კარგად ავლენს საკუთარ მოქალაქეობრივ და შემოქმედებითს პრინციპებს. რეპერტუარის არჩევანი. რეჟისორული ხელწერა მას შესაძლებლობას აძლევს საინტერესოდ განახორციელოს სპექტაკლები: „რას იტყვის ხალხი?", „რევიზორი", „ზურაბელა", „კუკარაჩა", „თოლია". აღსანიშნავია, რომ ა. ჩეხოვის „თოლიას" დადგმას ა. ქუთათელაძემ ქართულ სცენაზე პირველმა მოჰკიდა ხელი. სპექტაკლს ჯეროვანი წარმატება ხვდა შარშან ზაფხულში მოსკოვში რუსთავის თეატრის გასტროლების დროს, რისთვისაც სპეციალური დიპლომიც დაიმსახურა.

რეჟისორი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში და, ცხადია, მაყურებელი კვლავ მოელის მისგან სიახლეს, მრავალმხრივობას. სწორედ ეს სურვილი გამოხატეს შემოქმედებითს საღამოზე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ე. გუგუშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. გეგეჭკორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. ტატიშვილმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილების გამგემ ა. შალუტაშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა თ. ქვარიანმა, რომელმაც აუბილარს გადასცა ივანე ჯავახიშვილის სამახსოვრო მედალი.

რ. მუხიგულაშვილი.

ჟურნალი

ჭადრაკის დაფებთან

ესპანეთის ქალაქ ლინარესში გრძელდება დიდოსტატ მოქადრაკე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება. აქ მოეწყო სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. იუსუპოვმა დაამარცხა სეირავანი (აშშ), ლარსენმა (დანია) — ტიმანი (ჰოლანდია). ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) დაუზავდა მაილსს (ინგლისი). ჰორტისა და ტიმანის პარტია კი კვლავ გადაიდო. სამი ტურის შემდეგ ანდერსონს (შვეიცია), საქსს (უნგრეთი), მაილსს და ლარსენს 2-2 ქულა აქვთ. მსოფლიო ჩემპიონმა კარპოვმა ჯერ მხოლოდ 2 პარტია ითამაშა და მას 1,5 ქულა აქვს. სპასკის და იუსუპოვსაც 1,5-1,5 ქულა.

იუგოსლავია მიმდინარე ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის შემდეგაც ერთპიროვნულად ლიდერობს გავრიკოვი — 9 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ნოვიკოვი, სალოვი და ხარიტონოვი — 8-8 ქულა, თბილისელი ზაიჩიკი — 7,5 (1 გადადებული), მაიოროვი — 7,5, ერმოლინსკი — 7, ლუტიანი — 6,5 (1), კენგისი — 6,5, ვიეშმანი და ჩერნინი — 6-6 (თითო გადადებული), თბილისელი აზმაიფარაშვილი, ანდრიანოვი, გუტრევიჩი, ლანკა და შნეიდერი — 6-6 ქულა. მეთოთხმეტე ტურში ზაიჩიკი დაუზავდა ერმოლინსკის, აზმაიფარაშვილი — ხარიტონოვს.

საგურნირო ორგიგა

ველოსიპორტი. კუბის გზებზე დაიწყო ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა. პროლოგი (დისტანცია 3,2 კმ დაყოფილი სტარტით) მოიგო ამ ქვეყნის ველოსიპედისტმა ედუარდო ალონსომ — 3 წუთი და 39,5 წამი. პრიზიორთა შორის არიან მილან იურჩო (ჩეხოსლოვაკია)—3.40,30 და უვე რაანი (ბგრ) — 3.41,20. ამ შეჯიბრებაში, რომლის ტრასა (1765 კმ) დაყოფილია 12 ეტაპად, მონაწილეობენ აგრეთვე საბჭოთა (2 გუნდით) და მექსიკელი სპორსმენები.

ფარიკაობა. ბუდაპეშტში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება მოხმალაფეთა შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძმები — ხრისტო და ვასილ ესტროპოსსკენი (ბულგარეთი). გიმმარჯვა ხრისტომ (10:7) და პირველობას დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ მან მეოთხედფინალში ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ კოროვიპუსკოვის დამარცხება შეძლო (12:11).

ფუალხტომა. პენზაში გაიმართა სპორტსაზოგადოება „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. ამ შეჯიბრებაზე თბილისელებმა გია ჩოგოვაძემ და სერგი მალიბაშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: პირველმა 10-მეტრიანი კოშკიდან, ხოლო მეორემ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. საერთო-გუნდურ ჩათვლაში გიმმარჯვეს მასპინძლებმა. საქართველოს სპორტსმენები მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

„თამაშგარე მდგომარეობაში"

ცნობილი იტალიელი მსაჯი ფეხბურთში კაზარინი თანამემამულეებმა და კოლეგებმა ისეთ სიტუაციაში მოაქციეს, რომელიც უფრო „თამაშგარე მდგომარეობას" წააგავს. საქმე ის არის, რომ კაზარინი პრინციპულად იბრძვის ფეხბურთში მოქრთამვა-მოსყიდვის, როგორც იტყვიან, „უპატიოსნო მსაჯობის", ან „ძლიერი ნაკრები თუ საკლუბო გუნდებისადმი ქეიფის მოხრის" წინააღმდეგ. ამას იტალიელ მსაჯთა კოლეგიამ თავისებურად უპასუხა: კაზარინს უნდა ემსაჯა სუპერთასის მატჩზე „ასტონ ვილასა" და „ბარსელონას" შორის, მაგრამ იტალიელებმა „აცილება მისცეს",

კონტრაქტი 1987 წლამდე

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების კაპიტანმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ, რომელსაც რამდენიმე იტალიური კლუბი ეპატიჟებოდა, ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი თავის გუნდ „ბაიერნთან" (მიუნხენი). ეს ახალი ხელშეკრულება 1987 წლის 30 ივნისამდე გრძელდება, რის შემდეგ რუმენიგე აპირებს თავი დაანებოს თამაშს.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ე. ე. ტურძელაძე — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ;

ამხ. ხ. ნ. ხუციტარიძე — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილედ კადრებისა და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. დ. დ. მაღალაშვილი გაათავისუფლა საქართველოს სსრ ხალბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს კონკურსს

პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად



პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია 2500 მანეთის ოდენობით დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის დადგენილებით და მისი მინიჭება ხდება ხამ წელიწადში ერთხელ ქიმიისა და ფიზიკის დარგში თვალსაჩინო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის.

პრემია მიენიჭება პ. მელიქიშვილის დაბადების დღეს — 11 ივლისს.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეული ავტორთა ან კოლექტიური ნაშრომები, რომელშიც პრემია მიეცემათ ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს.

სხვადასხვა ნაშრომისათვის ორ ან მეტ მაძიებელს შორის პრემიის გაყოფა არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევით ან სხვა დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლებელსა ან ცალკეულ პირთა მიერ. პრემიის მოსაპოვებლად, გამონაკლისის სახით, შეიძლება საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ წარმოდგენილ იქნეს რესპუბლიკის გარეთ შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს წინა სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები, მაგრამ გამოცემული არა უგვიანეს ექვსი თვისა ამ განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომელთაც მიენიჭათ ლენინური, სახელმწიფო პრემია, ან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და დარგობრივი აკადემიის სახელობითი პრემიები, პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთისა და იმავე პირს პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

ნაშრომი პრემიაზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო საზოგადოების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან საათანადო დარგის წამყვან მეცნიერთა ან სპეციალისტთა მიერ.

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს:

1. საკონკურსოდ გათვალისწინებული გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად.

2. დასაბუთებული წარმოდგინება, რომელიც ასახავს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას და განმარტავს მის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

3. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა, აღმოჩენათა, გამოგონებათა სია; ცნობა საშუალო ადგილის და თანამდებობის შესახებ, ბინის მისამართი).

4. ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული სხვა სახელობითი პრემიები.

პრემიის მოსაპოვებლად მახალები, განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიგზავნოს მისამართით თბილისი — 8, **რუსთაველის 52, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად".**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ქ. თბილისის №150 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1988 სასწავლო წლისათვის I კვარტალში.

სასწავლებელი ამზადებს შემდეგი პროფესიის სპეციალისტებს:

განათების, გამანათებელი, ძალოვანი ქსელის ელექტროდანადგარების ელექტრომემონტაჟე, მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ბიჭი-ჯალი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან პერსონალური საგზურით სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყო მი", თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში და სხვა ობიექტებზე შესაბამისი სპეციალობის მიხედვით.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები 17-30 წლამდე.

სწავლების ვადა 10 თვე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებულ თანხას საერთო წესით.

ის მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დამთავრებენ წარჩინებით, სარგებლობენ საშუალო სკოლის ოქროსმედალისტის ან სპეციალური სასწავლებლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა უფლებით, ხოლო იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც ყველა საგანში აქვთ „ფრიადი" და „კარგი" შეფასება და წარმატებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (გამოშვების 10 პროცენტამდე) უფლება აქვთ შევიდნენ დღის განყოფილებაზე უმაღლეს სასწავლებელში შესაბამის სპეციალობაზე, დანარჩენ კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ საღამოს ან დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ფრიადოსნები სწავლის პერიოდში 25 პროცენტით მეტ სტიპენდიას იღებენ, ვაჟებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადება წლით.

სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

სწავლა დაიწყება 1 მარტს. ხაბუთების მიღება იწარმოებს 28 თებერვლამდე, დილის 9 საათიდან 17 საათამდე, კვირა დღის გარდა.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგ საბუთებთან ერთად:

1. საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. დახასიათება, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 6. ავტობიოგრაფია, 7. ექვსი ცალი ფოტოსურათი (3X4), 8. პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, კამოს ქ. № 37 (ქორწინების სახლის გვერდით). ტელეფონი — 95-60-78; 95-35-57, ტრანსპორტი — ავტობუსი 73, 67, 40, 4, 42, 15. ტროლეიბუსი 1, 14. სამარშრუტო ტაქსი 14, 30, 8, 26, 6.

ორგანიზაციათა, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და მოსახლეობის საყურადღებოდ!

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის საფოსტო, სატელეფონო, სატელეგრაფო კავშირით უკეთ მომსახურების მიზნით გახსნილია ახალი კავშირგაბმულობის ახალი განყოფილებანი: **ლიკი** — გორის რაიონი, საფოსტო ინდექსი 383502; **ულალიხი** — ბოგდანოვკის რაიონი, საფოსტო ინდექსი 383793; **არადუ** — ოჩამჩირის რაიონი, საფოსტო ინდექსი 384822; **ხოჯორნი** — მარნეულის რაიონი, საფოსტო ინდექსი 383143; **აბული** — ახალქალაქის რაიონი, საფოსტო ინდექსი 383787; **რველი** — ბორჯომის რაიონი, საფოსტო ინდექსი 383726; **ურთა** — ზუგდიდის რაიონი, საფოსტო ინდექსი 384706; **ჯინიხი** — წალკის რაიონი, საფოსტო ინდექსი 383127; **გულიკამი** — ახალქალაქის რაიონი, საფოსტო ინდექსი 383783; **თბილისის 122-ე კავშირგაბმულობის განყოფილება** — საფოსტო ინდექსი 380122; **თბილისის 123-ე კავშირგაბმულობის განყოფილება** — საფოსტო ინდექსი 380123.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო; საქართველოს სსრ სარეკლამო სააგენტო.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა ხამძიმარს უცხადებს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს ჯანსუღ ჩარკვიანს დედის

პისტი ანდრიას ასული ველოვან-ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

ტელევიზია

17 თებერვალი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — მულტფილმი. 10.05 — მხატვრული ტელეფილმი „პოკროვსკის კარიბჭე". პირველი და მეორე სერია. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.20 — ტელენარკვევი სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის ზ. გ. შოიუბოვის შესახებ. 16.50 — ხალხური ანსამბლის კონცერტი